ორშაბათი, 10 ივნისი № 127

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

წელიწადი 1913 მესამე

თემი

ორშაბათი, 10 ივნისი № 127

ხელ-მოწერილი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარდა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ორშაბათის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მესამე **„თემი“** წელიწადი მესამე

რედაქცია და კანტორა: Редакція газ. „ТЕМИ“ д. Діасамидзе Ольгинская 4

გაზეთი სდგას პარტიათა გარეშე

გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორიც 1911 და 1912 წელს.

ის ხელისმოწერლები, რომელნიც ამ სანად [illegible] გადიხდიან გაზეთის წლიურ ფასს მიიღებენ

ორ პრემიას

1 ს. აბაშელის ლექსთა კრებულს ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და ბ. ივანე გოგმართლის კრიტიკული წერილით..

2 ა ბაქაშვილის ლექსთა კრებულს ავტორის სურათით და ბიოგრაფიით.

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ; ნახევარ წლით—1 მ. 25 კ. ერთი თვით—25 კაპ.

კონტორა ღია ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდის.

რედაქტორ-გამომცემელი ბრ. დიასამიძე.

ამ მოკლე ხანში გამოვა **აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში**

ფრცლად და ნახატებით.

იქვე იქნება მოთავსებული რაჭა-ლეჩხუმის რუკა (ქარტა) და

აკაკის ახალი პოემა **„რაჭა-ლეჩხუმი“**

ფასი მხოლოდ ხელის მოწერლებისათვის—1 მ.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში**—„თემის“ რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძესთან. რკინის გზის სადგურზე „ბუფეტში“ ნოე გოშაძესთან, დეპოში—ასლან ტოროშელიძესთან. **ქუთაისში**—ის. კვიცარიძის „მერეთის“ კონტორაში. **ქ ბაქოში**—ინდიკო ჯაფარიძესთან და მიხეილ ფოჩხიძესთან. **დ. ონში**—დავით კერესელიძესთან. **ს. წესში**—ვანო ჭიპინაძესთან. **ს. ამბროლაურში**—მეფფიაქე არქიპო მაჭარაძესთან. **ს. ჭრებალოში**—კაკო ღოღელიანთან. **ქ. სოხუმში**—ისაკა ქვანიასთან.

ახალი კლუბი
საზაფხულო სადგომი

ორშაბათს 10 ივნისს, 1913 წ.

ჩვეულებრივი

საოჯახო საღამო

სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ ჰიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

Адресъ Телеграммъ ANITAS

Адресъ Телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

ფამსვლელთათვის

ღრუბლები, სარტყლები, ლიუფის ხელთათმანები, ჩუსტები, მცურავი საპონი, საშინაო პატარა აფთიაქები, სავარცხლები, შჩოთქები და სხვა სატუალეტო საგნები.

ფოტოგრაფ. აპარატები და მათი მოწყობილება.

საშუალება ბუზების და სხვა მწერების წინააღმდეგ.

საშუალება „მოსკიტოლი“ კოლოგების წინააღმდეგ.

ყოველგვარი საპონი, ლილა, სახამებელი საცვლების გასარეცხად.

ფეხსაცმლის გასაწმენდი ლაქები, ვაქსა და საცხებელი დამსხვრეულ ნივთების შემაკოწიწებელი სინდეტიკონი და სეკკოტინი.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი

სთხოვს ბ.ბ. გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზე,

რომელიც მოხდება 23 ამა თიბათვეს დილის 10 საათზე

სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოს ბინაზე (ბელინსკის ქუჩა, № 2).

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება შესახებ დამატებითი ხელ-შეკრულობისა და კახეთის რკინის გზის აქციების შეძენისა.
2. მოხსენება შესახებ ბოდიტეხნიკუმისათვის მიწის შეძენისა.
3. მოხსენება შესახებ ნადელების გამოსასყიდ ფულის ნაწილის საზოგადო მიზნისათვის გადადებისა.
4. მოხსენება დიმიტრი ივანესძის უ-ფიანის ხსოვნის ადსანიშნავად.
5. მოხსენება შესახებ სათავად-აზნაურო ქარვასლის ექსპლოატაციის გაუმჯობესებისა.
6. მოხსენება შესახებ თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისიის შეცვლისა (რეორგანიზაცია).
7. მოხსენება კომისიისა სათავად-აზნაურო კასის დასარჯულ თანხათა ანგარიშის განხილვის შესახებ.
8. განხილვა 1912 წლის ანგარიშისა და 1913 წლ. საგარეულო ანგარიშისა.
9. მოხსენება თავ. კონსტ. ივ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის მიერ შემოწირულ ადგილების შესახებ.

ახალი კლუბი
საზაფხულო სადგომი

ოთხშაბათს, 12 ივნისს, და პარასკევს 14 ივნისს გაიმართება

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

სინემატოგრაფის საშუალებით აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ✦ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

„სოლოტვატი“

ვაჭრობა სააფთიაქო, პარფიუმერიულ, კოსმეტიკურ, საგალანტერეიო კაუჩუკის და სხვა საგნებითა.

სოლოლაკის ქუჩა,

1-ელ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ახალი სახლი.

ქალებისათვის
საზაფხულო კაბები

უკანასკნელი ახალ-ახალი სავაჭრო

ძმ. ალოვანგეზი.

ტელეფონი 477.

თბილისი, 10 ივნისი.

იმ დროს, როდესაც ყველგან განათლებულ ქვეყნებში დიდის მოწიწებით და პატივისცემით ეკიდებიან თავიანთ მიცვალებულ მოღვაწეთა ხსოვნას, ჩვენში, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც თავიანთ თავს მეტად განათლებულად და შეგნებულად ვსთვლით, თითქო სანაძლეო დაგვიდვიაო, ყველაფერს ვაკეთებთ, ოღონდ კი წარვხოცოთ მომავალ თაობათა ხსოვნაში ის, რაც ოდნავ მაინც გვაგონებს ჩვენ დაუვიწყარ მოამაგეთ.

ეს იმისთანა ნაკლია, რომლის შესახებ მუდამ ლაპარაკი და ყვირილი გვმართებს.

„სახ. გაზეთის“ 8 თიბათვის ნომერში დაბეჭდილია ბ. დავიწყებული პატარა, მაგრამ მრავალ მეტყველი წერილი სათაურით „ილიას მამული სოფ. ყვარელში.“ ავტორი აგვიწერს საშინელ სურათს იმ ადგილისას, სადაც დაიბადა და აღიზარდა ჩვენი მწერალი.

ეს მამული, რომელიც შეიცავს ორ დესეტინამდე, „სახ. გაზეთის“ თანამშრომელის სიტყვით „ოხრდება, ტიალდება და ჩვენ მომავალ თაობას ეკარგება“... ეს მამული ქართველ თავად-აზნაურობის საკუთრებას შეადგენს და გადაცემული აქვს მოვლა-პატრონობისათვის წერა-კითხვის საზოგადოების თელავის განყოფილებას.

ბ. დავიწყებული თავის წერილის ბოლოში ამბობს, რომ მამულის და საერთოდ სახლ-კარის მოსაწყობათ სჭიროა არა ნაკლებ 5.500 მანეთისა, რომელსაც თელავის განყოფილება სთხოვს ქართველ თავადაზნაურობასო.

ბ. დავიწყებული მთელ თავის იმედს მამულის გამობრუნებისას მარტო ამ ფულის მიღებაზე ამყარებს.

ეს, რასაკვირველია, ასე მოხდება. თავად-აზნაურობა ვალად ჩასთვლის საჭირო ნივთიერი დახმარება გაუწიოს განყოფილებას, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ჩვენ იმასაც კი არ ვაკეთებთ, რის გაკეთებაც ჩვენ ხელშია.

აი, მაგალითად, აღვიაროთ გულრწფელად როგორ მოუარეთ ილიას დანატოვარს საგურამოში? როგორ ვუპასუხებთ, თუ გვკითხეს: სად არის ამ ჟამად კაბინეთის მოწყობილება, რომელიც ილიას ჰქონდა იქ, სად არის ის ეტლი, რომელშიაც ილია იჯდა მაშინ, როდესაც ვერაგულად შეახეს მას ხელი; სად არის ის თეთრი ქუდი, რომელიც ილიას ეხურა იმ უბედურ დღეს; სად არის საზოგადოდ ყველა ის ნივთები, რომელიც ილიას უყვარდა და რომელიც მის სასახლეში ელაგა.

ყველა ეს უბრალო ცნობის მოყვარეობის დამაკმაყოფილებელი კითხვები არ არის. ვისაც უყვარს თავის მოღვაწე, ვისაც სწამს მისი ღვაწლი, ის სხვა ფრივ უვლის საქმეს.

ის იჩენს უსათუოდ უფრო მეტ სიყვარულს და პატივისცემას იმ მოღვაწისადმი, ვიდრე ჩვენ ვიცით.

გავიხედოთ და გამოვკითხოთ, როგორ აგროვებენ ყველა იმ უბრალო ნივთებსაც კი, რომელთაც რაიმე კავშირი აქვსთ დიდებულ ლეონ ტოლსტოის სახელთან?

შევიტყოთ, როგორ არის შემდგარი შექსპირის მუზეუმი და სხვა წარჩინებულ მსოფლიო გენიოსთა.

შეგროვილი ცნობები უეჭველია გაგვაწბილებს ჩვენ, თუ ჯერ კიდევ სრულებით არ მოგვსპობია სიწითლის უნარი.

დიაღ! ჩვენ ვერავის მივცემთ დამაკმაყოფილებელ პასუხს იმ კითხვებზე, რომელიც ზემოდ მოვიყვანეთ და რომელიც მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ რამდენად უღირსად მოვექეცით ჩვენ ტანჯულ მგოსნის ხსოვნას.

ჩვენ, რომ საზოგადოდ გვჯვარებოდა ჩვენი მოვალეობის ასრულების საქმე, მაშინ ჩვენ ყველაფერი ის გვეცოდინებოდა დაწვრილებით, რაც კი შეეხება ჩვენს ილიას. მისი დანატოვარი ქონების აღწერილობა და სურათები გვექნებოდა ხელში; მისი მოვლა-პატრონობის ამბავი უბრალო ბალღსაც კი ეცოდინებოდა.

ახლა კი არა ვიცით რა. ყველაფერს რაღაც უცნაური საბურველი აქვს გადაფარებული.

ჩვენის აზრით, ქართველი თავად-აზნაურობა და თვით წერა-კითხვის საზოგადოებაც თავის განყოფილებებით მოვალენი არიან ყველა ის, რაც შეეხება ილიას დანატოვარ მამულებს, გამოიკვლიონ, ყველაფერი აწონ-დაწონონ და მიიღონ ზომები, რომ საგურამოში და ყვარელშიაც სოფლის ხალხისათვის ისეთი განმანათლებელი დაწესებულებანი შეჰქმნან, რომელნიც ღირსნი უნდა იყვენ დიდებული ჩვენი მოჭირნახულის სახელისა.

ყველა ეს ცნობები უნდა შეიკრიბოს და წინდაწინვე უნდა გამოქვეყნდეს, რომ ყველას მიეცეს საშუალება თავის აზრი წარმოსთქვას ამ დიადი საქმის მოწყობის შესახებ.

აი ეს იქნება ჩვენის მხრით ნამდვილი ვალის მოხდა დაუვიწყარ ვალ-მოხდილ მამულიშვილის წინაშე...

ახალი ამბები.

როგორც ლატიშელების გაზეთები გადმოგვცემენ, მეორე სათათბიროს ცნობილი დეპუტატი ოზოლი პროვოკატორი ყოფილა. ეს ის ოზოლია, რომლის სადგომში ბინა ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. ოზოლი ხშირად ამ ფრაქციის სახელით გამოდიოდა სალაპარაკოდ სათათბიროში. უნდა ვიფიქროთ, რომ ამის წყალობით დაიჭირეს თითქმის მთელი ფრაქცია რომელსაც დაბრალეს სამხედრო აჯანყების მოწყობა. ოზოლის პროვოკატორობის ამბავი, როგორც ამბობენ, გამოუშკარავებია ისევ ცნობილ ემიგრანტს ვლ. ბურცევს.

ჭიათურის შავი-ქვის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი თხოულობენ სამუშაო ქირის მომატებას. ხმებია: ახალ არტელს ადგენენ, რომელიც მთავრობის მოხელეების ხელმძღვანელობით იმუშავებს. გაიფიცნენ აგრეთვე ტყიბულის ქვა ნახშირის მუშებიც.

ამ ბოლო დროს ძალიან წინ მიდის ავიაციის (ფრენის) საქმე. ამ დღეებში ბ. სიკორსკიმ გააკეთა ახალი მანქანა „გრანდი“, რომელსაც 15-კაცის აყვანა შეუძლია. რამდენიმე ოთახია გაკეთებული „გრანდზე“. ფრენის დროს შეიძლება ერთი ოთახიდან მეორეში თავისუფლად გადასვლა. „გრანდი“ უკვე გამოსცადეს და ჩინებულად იფრინა ნახევარი საათის განმავლობაში.

რედაქციამ მიიღო სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის 1912 წ. და 1913 წ. მოქმედების ანგარიში. ანგარიშიდან სჩანს, რომ წრეს გაუმართნია სულ 35 წარმოდგენა და 1 კონცერტი. დასწრებია 16,962 მაყურებელი, საშუალოდ თითო წარმოდგენას კი 530. შემოსავალი ყოფილა საერთო 5,193 მან. და 85 კაპ. საშუალოდ კი 162 მ. და 30 კ.

შაბათს, 8 ივნისს, „ახალ კლუბში“ საზამთრო თეატრში გამართულმა დიმ. არაყიშვილის კონცერტმა საგანგებოდ ჩაიარა. საზოგადოებაც დიდ-ძალი დასწრო და ძალიან ნასიამოვნებიც დარჩა.

კონცერტი შესდგებოდა 4 განყოფილებიდან.

პირველ განყოფილებაში თვით ავტორმა წაიკითხა რუსულად მოხსენება „ქართული ხალხური სიმღერები და ქართველთა კულტურა“, მეცნიერულმა გამოკვლევამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მეორე განყოფილებაში მომღერლებმა მ. კოლოტოვისა და ივ. სარაჯიშვილმა შეასრულეს დიმ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილი და ჰარმონია-ქმნილი ქართული ხალხური სოლო-სიმღერები. საზოგადოებას მეტადრე მოეწონა „ნანა“ და „ურმული,“ მეგრული „საარშიყო“ და გურული „ქალო ლამაზო.“

მესამე განყოფილებაში შეასრულეს

ევროპიული ხასიათის რომანსები მ. კოლოტოვისამ და ა. შანშიევმა. შემდეგ ივ. სარაჯიშვილმა და იმავე კოლოტოვისამ შეასრულეს აღმოსავლეთური ხასიათის და ქართული რომანსები.

საზოგადოებამ მეტად მოიწონა ივ. სარაჯიშვილის მიერ შესრულებული რომანსი გაფიზის სიტყვებზე: „ვარდ-ყვავილთა სამეფოს მოდი“ და ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველის შესახებ“ მ. კოლოტოვის მიერ შესრულებული თამარ-მეფის კავატინა.

ორივე განყოფილებაში სამგალითოდ შეასრულა ვიოლონჩელზე დასაკრავი ე. კოპელნიკემ.

მეოთხე განყოფილებაში „ახალი კლუბის“ სიმფონიურმა ორკესტრმა დიმ. არაყიშვილისავე ლოტბარობით დაუკრა სიმფონიური მისი ნაწარმოები.

საზოგადოებას მეტად მოეწონა ხსენებულ ოპერის მეორე სურათის შესავალი, რომელიც გაამეორებინეს.

გაამეორებინეს აგრეთვე ივ. სარაჯიშვილს „მგოსნის სიმღერა“ იმავე ოპერიდან, რომელიც მან იმღერა ქალთა გუნდთან ერთად ორკესტრის აკომპანიმენტით.

შემდეგ დაუკრეს პრელიუდია და ფუგა სიმებიან ორკესტრისთვის, ესმერალდას ცეკვა, მუსიკალური სურათი „საზანდრული“ და „ქართული ცეკვა.“ „ესმერალდას ცეკვა“ და „ქართული ცეკვა“ გაამეორებინეს. მშვენივრად არის დაწერილი დაკლური და ლეკური.

საზოგადოებამ და ორკესტრმა ნამდვილი ოვაცია გაუმართეს ნიჭიერ მემუსიკეს.

როგორც შევიტყეთ შაბათს 15 ივნისს, „ახალი კლუბის“ საბჭოს თხოვნით დიმ. არაყიშვილი მთელს ამ კონცერტს განმეორებს.

———

7 თიბათვეს ბ. ქებურიამ ჩინებულად იფრინა. ოთხჯერ ლამაზი წრე გააკეთა და კოხტად დაეშვა იმ ადგილს ახლოს, საიდანაც აფრინდა. იფრინა სულ 22 წუთი 300 მეტრის სიმაღლეზე.

———

ქუთაისის მაზრის უფროსმა ყორღანოვმა „სასოფლო გაზეთის“ რედაქციას სთხოვა, უგზავნოს მთელი მაზრის ყველა სასოფლო კანცელარიებს ხსენებული გაზეთი 1 თიბათვიდან წლის ბოლომდის, ხვედრ ფულს ერთი თვის განმავლობაში შემოვიტანო.

ქუთაისის გუბერნატორმა გენ. სლავინსკიმ ცირკულიარით მიმართა ამას წინად მაზრის უფროსებს ხელი შეუწყონ ამ საარგებლო გაზეთის გავრცელებას.

იმედია ყორღანოვის მაგალითს სხვა მაზრის უფროსებიც მიჰბაძავენ.

ეს ყველა კარგი. მაგრამ ნუთუ თვით სოფლის მეურნენი გულ-გრილად ეპყრობიან ამ ჟურნალს და არ იწერენ?

———

ჩვენს რედაქციას მოუვიდა შემდეგი წიგნები: 1) მოლიპულ გზაზე“—რომანი ქ.—ბ. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი. წიგნი სუფთად არის გამოცემული ქ. გორში სულ 468 გვერდს შეიცავს და ღირს 1 მან. 50 კაპ.

2) რუსულ ენაზე გამოცემული „სამახსოვრო წიგნაკი ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა. 1913 წლისათვის“. ეს საიუბილეო გამოცემაა საქალაქო დებულების ბათუმში შემოღების 25 წლისთავს გამო, ქალაქის გამგეობის მიერ გამოცემული და შედგენილი ქალაქის მდივნის ივ. მესხის-მიერ. წიგნაკში 248 გვერდია.

———

კ. ჩხეიძემ „ზაკ. რეჩს“ დეპეშით აცნობა, რომ სათაობირომ გამოსთქვა სურვილი **კავკასიის უნივერსიტეტის** დაარსების შესახებ. ამ საგნის თაობაზე ულაპარაკნია დეპუტატ ვარლამ გელოვანს.

———

ამ დღეებში თბილ. ქალაქის გამგეობის მინდობილობით ნიადაგის მკვლევარმა კალინინმა დაამთავრა საბურთალოს და ნავთლუღის ნიადაგის გამოკვლევა. მისის აზრით ნავთლუღის ნიადაგი არ არის შესაფერი სამეურნეო კულტურისათვის; საბურთალოსი კი მეტად გამოსაყენებელიაო ამ მხრით.

———

16 თიბათვეს გაიხსნება თბილისში რუსეთის ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეცამეტე კრება და გაგრძელდება ამა თვის 24-მდის. კრების წევრთა რიცხვმა 3000-ს გადააჭარბა.

საერთო სხდომები მოხდება სახაზინო თეატრში. სექციების სხდომები გაიმართება აგრეთვე საარტისტო საზოგადოების და ქართულ თეატრებში და სხვ. მოხსენებას კითხულობენ: ცნობილი **ნ. მოროზოვი** —„ცოცხალი მსოფლიოში“, **ი. ავალიშვილი** (სპილენძის შესახებ) **ი. ე. გაჩეჩილაძე, ვ. ი. ბიბილაშვილი, ა. ი. დიდებული ე, ი. პ. ქავთარაძე. ტ. დ. მამალაძე, ა. ა. თვალჭრელიძე, ვ. ვ. შენგელიძე, მ. გ. ჯანაშვილი** („ქართველები-წმინდა არ იელები არიან“); **კონსტ. ივ. დოდაშვილი** (ქართულ ენის და მეგრულ-სვანურ კილოკავების შესახებ) და სხვ.

ცეკვა

ტაში, ტაში!... დაჰკა დოლი!
ბრძანებს თითონ ტოლუმბაში..
განი! განი! ჩემს დედოფალს
თვალით ვეძებ.. ტაში! ტაში!..

მე ვიპოვნი გორის ვარსკვლავს,
თუნდ გამგზავნონ ჯანაბაში!.
დაჰკარ დოლი! თავს დავუკრავ,
გამოვიწვევ.. ტაში, ტაში..

ეს ნადიმი—სამოთხეა:
მე ჩავცქერი გიშრის თმაში.
არ მიცინის! რა ეწყინა?!..
განი, ძმებო! ტაში! ტაში!...

იქნებ მოსწონს ვაუბატონი
ოქრომკედის თეთრ ჩოხაში?!..
მე კი ვძულვარ, მე, ბედკრულიე.
პასუხს გამცემს!.. ტაში! ტაში!...

ნაზის ცეკვით მისრიალებს,
ვით ღვთაება ვარდ კაბაში!.
მას უცინის?! მაშ ამალამ...
ტაში!..

სანდრო ყანჩელი.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

„ოქროს ვერძი“.

ამ უკანასკნელ დროს ქართველი ერის ხელოვნებამ თავის ნამდვილ ადგილს ძებნა დაუწყო.

მან უშიშრად წამოაყენა კითხვა ამ სულიერ კულტურის სფეროს დამოუკიდებლობის შესახებ...

ეს კითხვა არ არის წინასწარ განზომილი, შემეცნებული-იგი სტიქიურია, თვით ცხოვრების მიერ გამოწვეული, მოთხოვნილი, იგი მხატვრის განცდის საკითხია, მისი ბუნების შინაარსი, რომელმაც ძველი ფორმა თავიდან მოიშორა და მოინდომა თავისუფალი არსებობა.

ცხოვრებამ გაუსწრო თეორიას; ეს უკანასკნელი მხოლოდ ეხლა ეძებს—ეხლა, როდესაც ქართულმა ხელოვნებამ, მარტოდ დარჩენილმა, მრავალ გავლენის განცდის და ძიების შემდეგ, გზა ცოტად თუ ბევრად გაიკვლია. ...

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თეორია, გზის მაჩვენებელი ხელოვნებისათვის, მისი აუცილებელი თანამგზავრი, საჭირო არ იყოს; პირიქით—წარმოუდგენელია ხელოვნების არსებობა უთეორიოდ, უკრიტიკოდ.

შეიძლება თეორეტიკოსი, კრიტიკოსი ერთ და იმავე შემოქმედებაში იმყოფებოდეს მხატვართან, ხელოვნების წარმომადგენელთან, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ ამ ერთგვარ მოვლენის შემადგენელ ელემენტებს დამოუკიდებლათ შეეძლოს ზრდა და განვითარება.

თეორია მხატვრულ შემოქმედებისა, მხატვრულ შემოქმედების კრიტიკა და ხელოვნება განუყოფელნი არიან. ამას გვასწავლის თვით ხელოვნების ისტორია. ლეონარდო-და-ვინჩის პიროვნებაში შესანიშნავი შეთანახმებით ეწევიან შემოქმედებრივ მუშაობას ხელოვნება და მისი თეორია,—იბსენს, ტოლსტოის, ჰაუპტმანს, როდენს, კონსტანტინე მენიეს—ყველას თავის დამფასებელი ჰყავს, რადგან ამ ადამიანებში კრიტიკოსი ვერ იპოვნის იმავე ადგილს, რომელიც უკავია მხატვარს; აბა გაიხსენეთ ლეონ ტოლსტოის აზრი თავის ნაწარმოების და შექსპირის შესახებ. ბევრჯერ ძალიან ბევრჯერ, ვიტყვი უმეტეს ნაწილად, დიდებული ხელოვანი ძალიან სუსტი კრიტიკოსია როგორც თავის ისე, რასაკვირველია, სხვისი შემოქმედებისა.

მხატვარი ყოველთვის საჭიროებს დამფასებელს, მხატვრულ შემოქმედების და თეორიის მუშაობა განუყოფელია.

სწორედ ამიტომ შეეხვდი პ რადად მე სიხარ ლით სიმპატიურ ახალგაზრდა მწერლების ორგანოს „ოქროს ვერძს“ მწამს, რომ იგი იმ მიზნით არის დაარსებული, რომ მხატვრულ მწერლობას მეგობრობა გაუწიოს, ხელოვნებაზე მტკიცე, ნამდვილი შეხედულება შეიმუშაოს, თავისი მრწამსი აღიაროს და სხვასაც აღიარებინოს.

შინაარსი უკვე გამოსულ 3 ნომრისა ამას ნათლად მოწმობს; მხატვრული და თეორიული სფეროები წარმოდგენილი არიან; ყველა ცდილობს, ეტყობა, **რამე** სთქვას, ისეთი, რაც განმეორებას უკვე თქმულ აზრისას არ წარმოადგენს.

სულ სხვა საქმეა და კითხვა, თუ რამდენად აღწევს თვითეული მათგანი თავის მიზანს;—ნათლად სჩანს კია ჰაბუკური გატაცება, იმედი, მშვენიერი სურვილები ამ ახალგაზრდათა გამოცემაში.

თუ უნდა სიმპატიურ ჟურნალს კეთილი სიცოცხლე, ეს სიახალგაზდავე უნდა შეინარჩუნოს თავის **ჯანმრთელობის** დროს—თვალყური ადევნოს ცხოვრების ვითარებას და თავის სათაყვანებელ საგანს ხელოვნებას არ უღალატოს,—არ ასცდეს ნამდვილ ესთეტიურ პრინციპებს, რომელნიც დიდებულ ხელოვნურ ნაწარმოებშია განსახიერებული.

სიყვარული, პატივისცემა, აღტაცება ხელოვნებისაგან გამოწვეული, უნდა ინთქმებოდეს მიუდგომელ დაფასებაში;—მიკრძალებას ცალმხრივ შეხედულებას ხელოვნება ვერ იტანს, რადგან **პრინციპიმშვენიერება** ძლევამოსილი და სრულქმნილი ზოგადი მოვლენაა, უტყუარ გრძნობათა განცდაზე აშენებული.

მრწამს, რომ ჟურნალი ამ გზას შემდეგში უფრო მტკიცედ დაადგება, რადგან უარყოფა აქ გამოთქმულ აზრისა, სიმპატიურ გამოცემის მიერ იქნებოდა „დასაწყისი მისი სიკვდილისა“.

როგორც ხელოვნება თავისუფალი, წინად მოფიქრებულ, ნაძალადევ ტენდენციისაგან, ისე ჟურნალი, რომელიც მხატვრულ შემოქმედებას ემსახურება, უნდა იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი, მიუდგომელი.

დარწმუნებული ვარ, რომ ხელმძღვანელნი „ოქროს ვერძისა“ ამ მისწრაფებით სულდგმულობენ.

თანამედროვე ქართული ხელოვნება მეტად მოსავლელი ნორჩი, ფაქიზი მცენარეა,—ძას მეტის სიფრთხილით უნდა მოპყრობა.. მხატვრული შემოქმედება თანამედროვე ქართველობისა ნათლად აშკარავდება ისეთ ხელოვანთა ნაწარმოებში, როგორიც არიან (მე ახალგაზდები მყავს მხოლოდ სახეში): ს. აბაშელი, ნ. ლორთქიფანიძე, ი. გედევანიშვილი, გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, ა. შანშიაშვილი, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, შემუსიკანი: ნ. სულხანიშვილი, ზ. ფალიაშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, დ. არაყიშვილი.... ხელოვნებამ არ იცის გარჩევა ჭელლინისა და იუდელისა... მშვენიერება სახიერდება როგორც ერთში ისე მეორეში.. თანამედროვე ქართული ხელოვნება ბევრ მარგალიტებს ინახავს;—ამ მარგალიტებს მონახავ უნდა, „ოქროს ვერძმა“ თავისი არსებობით და მოქმედებით, ახალგაზდური მისწრაფებით კარი უნდა გაუღოს ყველას, ვისაც შეუძლია ამ ძიებაში მონაწილეობა მიიღოს.. მაშინ ის საყოველთაო სიმპატიას დაიმსახურებს...

ვუსურვებ „ოქროს ვერძს“, რომ მას გაემართლებინოს იმედები, თავის კეთილი სურვილები განხორციელებოს,

ᲛᲬᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲭᲙᲑᲘᲚᲘ.

(ამბავი)

I

უმთავრესი ქუჩა იმ ქალაქისა, სადაც ვცხოვრობდი სამსახურის გამო—განიერი, სწორი და გრძელი იყო. ქუჩის გასწვრივ შუაზედ, თავიდან ბოლომდის ლამაზი ხეივანი იყო გაკეთებული. კოხტად შელამაზებულ ხეებს შუა აქა-იქ გრძელი სკამები იდგა. ხეივანს ორივ მხრით მისდევდა ტრამვაის ლიანდაგი და შემდეგ დიდრონი, მდიდარი მაღაზიები.

აი ეს ქუჩა ყოველ დღე ორჯელ უნდა გამევლო, რადგან ჩემი საცხოვრებელი ბინა ქუჩის ერთს თავში იყო და სამსახურისა კი—მეორეში.

ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, გამოვდიოდი ჩემს ბინიდან რვის ნახევარზე და რვაზე უკვე ჩემს სამუშაო მაგიდას ვუჯექი. აგრეთვე ნაშუადღევის ორ საათის შემდეგ სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი იმავე გზით.

ქუჩის ბოლოს, იმ ადგილას, სადაც ხეივანი თავდებოდა და, სადაც მე უნდა მიმეხვია მარცხნივ—იდგა ერთი შუა ხნის ბრმა მამაკაცი.

იმ დღიდან, რა დღესაც მე პირველად გავიარე ამ ქუჩაზე, ხსენებულმა ბრმამ ჩემი ყურადღება მიიპყრო.

ის ყოველთვის ჩემზე ადრე მოდიოდა თავის ადგილას, მიეყრდნობოდა კედელს, დაადჯენდა თავის გზის მაჩვენებელ გრძელ კომბალს და საღამომდის ატუზული იყო ერთს ადგილას.

მას ორივე თვალი დაზიანებული ჰქონდა, მაგრამ ცოტათი კიდევ ხედავდა და თავისი ყავარჯენის შემწეობით მიკიბ-მოკიბით იკვლევდა გზას.

რაღაც უცნაურ, უსიამოვნო გრძნობას განვიცდიდი, როდესაც მას უახლოვდებოდი. თითქოს მეზიზღებოდა კიდეც, თუმცა დღესაც არ ვიცი რატომ?!

რა გინდ კარგ სულიერ განწყობილებაში ვყოფილიყავი დილით,—გამახსენდებოდა თუ არა, რომ ცოტა ხნის შემდეგ იმის წინ უნდა გამევლო,—გული რაღაც ნაირად მოიკუმშებოდა და ყოველგვარი მხიარულება იმ რხებოდა. რამდენჯერ, ახლად გამოღვიძებულს, პირი გამიღია ჩემი საყვარელი სიმღერის სათქმელად, მაგრამ მომაგონდებოდა თუ არა ის ბრმა, ჰანგი სადღაც მეკარგებოდა და სიმღერის მაგიერ ღრმა ოხვრა ამომხდებოდა.

ხშირად ვაძლევდი ჩემს თავს აღთქმას, რომ არაფრის გულისათვის არ მივიხედავ იმისკენთქო,—მაგრამ რა წამს გაუსწორდებოდი, არა თუ მივიხედავდი, არამედ შეეჭერდებოდი და ყურადღებით ვათვალიერებდი მას. ყველა წვრილმან ცვლილებას ვამჩნევდი. ვამჩნევდი როგორ უპყრია მისი საყვარელი, განუშორებელი კომბალი, როგორ ჰხურავს ქუდი, ისევ იმ ადგილას სდგას თუ ცოტათი მოუნაცვლია, როგორ უჭირავს ხელები, ჩვეულებრივად მუცელზე დაწყობილი, თუ გაშვებული და სხვა...

და ასე ყოველ დღე... ასე იმიტომ, რომ ის არც წვიმას, არც ქარს არ ერიდებოდა; არც ზამთრის სუსხი აშინებდა მას. ყოველ დღე მოდიოდა თავისი მოკლე გახუნებული ყვითელი პალტოთი და ერთს ადგილას ჩერდებოდა.

ის ხანდისხან მოძრაობდა. მოძრაობდა განსა-კუთრებით ზამთრის სუსხიან დღეებში.

სუსხის გამო სახე გაულურჯდებოდა, გაებერებოდა და თვალების ქვემოდ ჩამოწეული წითელი ქუთუთოები საშინელ მოლურჯო ფერით ჭკოთოდნენ გაბოროტებულნი.

ამისთანა დღეებში ის, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისუნთქავდა ხელებზე და თან ღონივრად ისრესდა თითებს.

ხან ერთს ფეხს აიწევდა მაღლა, ხან მეორეს და იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერი იყო ყინვა, მალ-მალ იცვლიდა ფეხს და ბოლოს ისე მოუხშირებდა ფეხების ცვლას, რომ თვალსაც კი ვერ ვასწრობდი მათ მოძრაობას. ვხედავდი მხოლოდ ადამიანს, რომელიც ხტოდა—და ეს ხტომა თამაში, ან გართობა კი არ იყო, არამედ სერიოზული, მოფიქრებული მუშაობა სითბოს ენერგიის გამოსაწვევად. ეს ერთნაირი წინააღმდეგობა იყო ბუნების მოვლენასთან სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

და მთელი დღე ასე ხტოდა. ხოლო ხანდისხან წამით შეისვენებდა და მაშინ ისე ამოიხვნეშდა, თითქოს ეს არის მძიმე ტვირთი მიიტანა დანიშნულს ადგილას და ზურგიდან მოიცილაო.

მაგრამ ისევ მალე განაგრძობდა ხტომას.

არ ვიცი სხვები რამდენად აქცევდნენ ყურადღებას, არც ის ვიცი დანამდვილებით, ღებულობდა რაიმე საჩუქარს ვისმესაგან თუ არა, ხოლო პირადად მე, ჩემდა უნებურად, დიდს ყურადღებას ვაქცევდი მას, თუმცა არა თუ მიმიცია რამე მისთვის ოდესმე, არამედ უბრალო სურვილიც კი არ ამოძვრია რითიმე დავხმარებოდი მას.

ან რატომ უნდა დავხმარებოდი, როდესაც ასე მტანჯავდა ყოველ დღე! თუმცა ეხლაც არ ვიცი, რას მიშავებდა ის საბრალო?!

ეს კი მართალია, რომ მთელი არსებით უკმაყოფილო ვიყავი მისი, გულით მძაგდა, მეზიზღებოდა..

მახსოვს: ერთს უძილო ღამეს გაბოროტებული წამოვხტი საწოლიდან, საჩქაროდ ჩავიცვი, ავიღე პორის საკრელი დიდი დანა და გარეთ გამოვარდი. და აქ, როდესაც გრილმა ჰაერმა გონს მომიყვანა—შევჭკრთი, ჩემი განზრახვისა შემეშინდა და დანა შორს გადავისროლე.

შემდეგშიაც არა ერთხელ ბრაზ-მორეულს წამომიძახნია: ახ ნეტავ ის საძაგელი ღამღამობით იქ რჩებოდეს, რომ მივეპარო და ჩუმად სიცოცხლე მოვუსპოთქო.

მაგრამ ერთს დილას, როდესაც ის ჩვეულებრივ იქ არ დამხვდა-გაკვირვებული მივაჩერდი იმ ადგილს, სადაც ის მუდამ იდგა, და სადაც იმის ზურგის და თავის ხშირ შეხების გამო კედელზე იმავე სიმაღლის შავი ზოლი დარჩენილიყო-თითქოს გამეხარდა, რომ ვერ ვიხილე ის ამ დილით, მაგრამ ეხლა ეგ შავი ზოლი, რომელიც ასე ჰგავდა თვითონ იმ ბრმას, უფრო სასტიკად მომეჩვენა, უფრო მეტს დამაღონებელს მეუბნებოდა ვიდრე თვითონ ის. თანვე წამით ვიგრძენი, რომ რაღაც შეჩვეული რამ დავკარგე, თითქოს რაღაც მოაკლდა ჩემს შინაგან სახეს—ერთნაირი ჰარმონია იმ გლახაკის მიერ შექმნილი დაირღვა ჩემში...

და როდესაც ჩემი მტანჯველი ისევ თავის ადგილას დავინახე მეორე დღეს, თითქოს მესიამოვნა კიდეც, თუმცა გადაჭრით ვერ ვიტყვი მესიამოვნა თუ მეწყინა იმის დანახვა.

წინანდებურად ავათვალიერ-ჩავათვალიერე და განვაგრძე გზა ..

II

იმ ქალაქში გაზაფხული ნისლიანი იცოდა.

ჩამოწვებოდა სქელი ნისლი და თან აქა-იქ მაბეზრებელი პატარ-პატარა ფიფქის ოდენა წვეთები სცვიოდა. უსიამოვნო იყო ასეთი დღეები. შორიახლო არაფერი არ სჩანდა, სულთქმა ძნელდებოდა.

ერთი ამ გვარი დილათაგანი იყო, როდესაც მე ჩვეულებრივ ბინიდან გამოვედი.

მადლობა ღმერთს დღეს ჩემს მტანჯველს ვერ დავ ნახავთქო, წვიმილაპარაკე წყნარად .. მაგრამ, როდესაც იმ ადგილისაკენ მივიხედე, სადაც ის იდგა და ნისლის გამო რომ ვერ დავინახე,-რაღაც არ მესიამოვნა. ცოტა ხანს ერთს ადგილას გავჩერდი და შემდეგ ანგარიშ მიუცემლად პირდაპირ იმისაკენ გავწიე. რატომ მოვიქეცი ასე, არ ვიცი; ხოლო მიუახლოვდი თუ არა—განცვიფრებული გავქვავდი ერთს ადგილას.

იმის ახლოს, იქვე ორი ნაბიჯის მოშორებით დავინახე პირაღმა მწოლარე კაცი. მას ორივე ფეხი მუხლების ზემოდ გადაჭრილი ჰქონდა: მარჯვენა ხელის ნასახიც კი არ სჩანდა და მხოლოდ მარცხენა მკლავი ება უთათოდ. ტანზე მჭიდროდ ჰქონდა შემოკერებული შავი ტყავის სამოსი.

ცოტა ხნით გაკვირვებული დავცქეროდი მას და როდესაც გონს მოვედი შეშინებული უცებ მოვწყდი ადგილიდან.

—ღმერთო ჩემო, რას ჰგავდა?! განა შესაძლებელია წარმოიდგინოს ადამიანმა იმაზე აღმაშფოთებელი რამ? ერთი მიფორიაქებდა გულს და ეხლა მას მეორე საშინელება მიემატა. ამან შეავსო პირველის ნაკლი და მთლიანი სურათი გადმეშალა თვალ-წინ ადამიანის არსებობის სულის და მძოვრის სახით.

—რა მეშველება, რა? ვეკითხებოდი ჩემს თავს. განა შემიძლია ყოველ დღე ვიხილო ეგ საშინელება? არა, არა! უნდა გავიქცე აქედან, მოვშორდე ამ დაწყევლილ ქალაქს, თორემ გამგიჟდებენ ეგ შეჩვენებულნი.

ასე ვიძახდი, მაგრამ დრო გადიოდა და მე იქიდან ფეხს ვეღარ ვიცვლიდი.

ყოველ დღე პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას და ისინიც ყოველთვის თავთავიანთ ადგილას იყვნენ. ერთი იდგა კედელზე მიყრდნობილი, მეორე ქვაფენილზე იწვა ხან პირაღმა, ხანაც მუცელზე.

შევნიშნე, რომ ეს უხელფეხო თვითონ მოძრაობდა. როდესაც ადგილის მოცვლა უნდოდა—ის ქვაფენილზე განდაგან გაწვებოდა, მარცხენა მკლავს დაადჯენდა, ჭიასავით აიწურავდა ტანს მაღლა, შემდეგ გადახრიდა იქეთ, საითაც წასვლა უნდოდა და ბურთივით დაგორდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ შეჩერდებოდა, შედგებოდა მუცელზე, ასწევდა თავს მაღლა და კვლავ ახირებული მოძრაობით განაგრძობდა გზას. ასე მიდიოდა და მოდიოდა ის.

ერთხელ დავინახე, რომ ეს გლახა იცინოდა. გამიკვირდა.—ნუთუ ამასაც შეუძლია სიცილი? რა აქვს ნეტავ სახიარულო ამ საბრალოს, წამოვიძახე და დაინტერესებულმა ნახულით გავეშურე მისკენ.

ისინი ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჩემს მიახლოვებაზე გაჩუმდნენ. ორთავე ყურადღებით დავათვალიერე.

ბრმა თავისებურად იდგა, ხოლო ეს პირაღმა იყო წამოწოლილი. მას მარცხნით იღლიის ქვეშ ტყავის საფულე ჰქონდა მიმაგრებული, რომელზედაც პატარა კლიტე ეკიდა.

—ალბად ჰყავს ვინმე, ვისაც ამ საფულეს გასაღები აქვს. შეიძლება ამ გლახაკის მიერ შეგროვილ ფულებით სარგებლობს ის ვიღაც არის. იქნება ის პირი საზოგადოებაში დიდად მიღებულია, ყველასაგან პატივცემული. სახელ-განთქმული! იქნება მეც ვიცნობ მას, ხელს ვაძლევ, კარგ ადამიანად ვსთვლი. ეფიქრობდი მე და ნელა მივდიოდი...

III

ფიქრს ფიქრი მისდევდა. ერთს სურათს მეორე, მეორეს მესამე და ასე დაუსრულებლივ. ყველა ჩემ ნაცნობს ვიხსენებდი, ვიგონებდი მათ ნათქვამს, მათ მოქმედებას. მათ შორის ვეძებდი იმ გლახის საფულეს გასაღების მქონეს, მაგრამ ვერც ერთზე ვერ შევჩერდი.

—გასაღები პატარა უნდა იყოს, ვამბობდი მე, აი ისეთი, როგორიც ჩემს კლავდიას აქვს... დიაღ, სწორედ ისეთი... და გამახსენდა კლავდია თავისი გასაღებით თუ არა—უეცრივ შევჭკრთი რიღასიც შემეშინდა, მაგრამ მალე ვინუგეშე თავი.

—ჩემი კლავდია?! არა, ეგ სისულელეა, ის ასეთი არ არის. რა უყოთ მერე, რომ ის ასე მოხერხებულად მიმალავს თავის წარსულს და ვინაობას—ვამბობდი მე და თან ფიქრი იზრდებოდა იმის გარშემო...

კლავდია ორი თვის გაცნობილი მყავდა. გაცნობის მეორე დღესვე ის უკვე ჩემს ოთახში იყო და თავისუფლად ჰგრძნობდა თავს.

ჩინებული ქალი იყო კლავდია! თავდავიწყებული, გიჟური ალერსი იცოდა.

—აი, ასე, ოჰ, ასე... მეჩურჩულებოდა ის და მაგრად მიკრავდა გაღეღილ გულმკერდზე. ცხოვრება ეს არის, დანარჩენი ყოველივე ამაო... ხშირად იმეორებდა ის ამ სიბრძნეს და მოწყურებულსავით ეწაფებოდა ჩემს ტუჩებს. მეც არ ვრჩებოდი ვალ-გადუხდელი და ვნების ღმერთივით ვწუწნიდი იმის მშვენიერ ბაგეებს.

ასე ვატარებდი მთელ ღამეებს ჩემს კლავდიასთან, თუმცა დღესაც არ ვიცი ვინ იყო ის, რა წარსული ჰქონდა მას. მას არასოდეს არ უამბია ჩემთვის თავის თავგადასავალი და არც ერთს ისეთს შევხვედრივარ, რომ კლავდიას ამბავი სცოდნოდა.

ბევრჯერ მიმიმართავს, ეამბნა რამე თავის წარსულიდან, მაგრამ კლავდია მუდამ ერთს და იმავეს იმეორებდა.

—რად მეკითხები? რად გინდა გაიგო ჩემი წარსული? ხომ ხედავ ქალი ვარ და განა კიდევ მეტი რამ გინდა?.. განა მე გეკითხები, ვინა ხარ შენ? გვარიც არ ვიცი შენი, ან რად მინდა ვიცოდე... მე ვიცი მხოლოდ, რომ შენ მამაკაცი ხარ და მე მეტი აღარა მინდა რა.

მე მოგთხოვ შენ მამაკაცობას, შენ მომთხოვე ქალობა.—აი ჩვენი შემაერთებელი ხიდი. ამის მეტი არასფერი არის

—რა მეშველება, რა? ვეკითხებოდი ჩემს თავს. განა შემიძლია ყოველ დღე ვიხილო ეგ საშინელება? არა, არა! უნდა გავიქცე აქედან, მოვშორდე ამ დაწყევლილ ქალაქს, თორემ გამგიჟდებენ ეგ შეჩვენებულნი.

ასე ვიძახდი, მაგრამ დრო გადიოდა და მე იქიდან ფეხს ვეღარ ვიცვლიდი.

ყოველ დღე პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას და ისინიც ყოველთვის თავთავიანთ ადგილას იყვნენ. ერთი იდგა კედელზე მიყრდნობილი, მეორე ქვაფენილზე იწვა ხან პირაღმა, ხანაც მუცელზე.

შევნიშნე, რომ ეს უხელფეხო თვითონ მოძრაობდა. როდესაც ადგილის მოცვლა უნდოდა—ის ქვაფენილზე განდაგან გაწვებოდა, მარცხენა მკლავს დაადჯენდა, ჭიასავით აიწურავდა ტანს მაღლა, შემდეგ გადახრიდა იქეთ, საითაც წასვლა უნდოდა და ბურთივით დაგორდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ შეჩერდებოდა, შედგებოდა მუცელზე, ასწევდა თავს მაღლა და კვლავ ახირებული მოძრაობით განაგრძობდა გზას. ასე მიდიოდა და მოდიოდა ის.

ერთხელ დავინახე, რომ ეს გლახა იცინოდა. გამიკვირდა.—ნუთუ ამასაც შეუძლია სიცილი? რა აქვს ნეტავ სახიარულო ამ საბრალოს, წამოვიძახე და დაინტერესებულმა ნახულით გავეშურე მისკენ.

ისინი ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჩემს მიახლოვებაზე გაჩუმდნენ. ორთავე ყურადღებით დავათვალიერე.

ბრმა თავისებურად იდგა, ხოლო ეს პირაღმა იყო წამოწოლილი. მას მარცხნით იღლიის ქვეშ ტყავის საფულე ჰქონდა მიმაგრებული, რომელზედაც პატარა კლიტე ეკიდა.

—ალბად ჰყავს ვინმე, ვისაც ამ საფულეს გასაღები აქვს. შეიძლება ამ გლახაკის მიერ შეგროვილ ფულებით სარგებლობს ის ვიღაც არის. იქნება ის პირი საზოგადოებაში დიდად მიღებულია, ყველასაგან პატივცემული. სახელ-განთქმული! იქნება მეც ვიცნობ მას, ხელს ვაძლევ, კარგ ადამიანად ვსთვლი. ეფიქრობდი მე და ნელა მივდიოდი...

III

ფიქრს ფიქრი მისდევდა. ერთს სურათს მეორე, მეორეს მესამე და ასე დაუს-

...ბერის ყოფილი წევრი ოზოლი ჯაშურ...
...და პროკურატორი ყოფილიო. სოციალ-
...დემოკ. სათათბიროს ფრაქციის წარმო-
...მადგენლებმა განაცხადეს—ყოველივე ეს
...ბმები სიცრუეაო. ვიღაცამ ... ხმებს
...ბიც დასძინა—თვით ბურცევმა სთქვა
...ოზოლი-პროკურატორიაო. ... ბურცევი
...რომ ამგვარ საქმეების დიდ-ცოდნედ ით-
...ელება. ეხლა თვით ბურცევს განუცხა-
...ებია, რომ ოზოლის პროკურატორობა
...იქრადაც არ მომქცელია და არცა
...ა მითქვამსო. ახლა გამოირკვა, რომ
...ს ამბავი მოუკერავს გაზ. „რუსკოე
...ლოვოს“ კორესპონდენტს.

———

...გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი
...ნრი როშფორი.

———

...მეფის მოადგილის მიერ დანიშნულმა
...კომისიამ საპოლიტეხნიკუმო ადგილის
...სარჩევად დაათვალიერა ადგილები—სა-
...ურთალოზე, ლოტკის გორაზე და
...ბავლოლულში. კომისიამ მეტად საძნელოდ
...დაინახა ამ საქმის გადაწყვეტა და მი-
...ნდო რამდენსმე წევრს ამ საქმის შეს-
...ავლა ყოველის მხრით. წევრები თავი-
...ნთ მოხსენებებს წარუდგენენ კომისიას
...ექტემბრის დამდეგს და მაშინ გადასწ-
...ყდება—სად უნდა აშენდეს შენობა პო-
...ლიტეხნიკუმისათვის.

———

...სახელმწიფო საბჭომ არ ...ნება ახლა-
...დელ სესიის დროს განხილვა კანონ-
...პროექტისა პოლონეთში სამოქალაქო
...დებულების შესახებ. საბჭომ ამ გვარ
...საქციელს მოულოდნელი შედეგი მოყვა.
...ოქტომბრისტებმა სათათბიროს დარბაზი
...მიატოვეს და ამით ხელი შეუშალეს
...პოლონეთიდგან ხოლმშჩინის ჩამოშორე-
...ბის შესახებ კანონ-პროექტის განხილ-
...ვას.

———

...სახელმწიფო სათათბირომ ერთხმად
...მიიღო პაპაჯანოვის მიერ წარდგენილი
...ფორმულა შესახებ იმისა, რომ მეფის-
...მოადგილემ კავკასიაში დაუყონებლივ შეი-
...მუშავოს პროექტი ამიერ კავკასიაში
...სახალხო სამხედრო მართვა-გამგეობის მო-
...სპობის შესახებ.

———

...ბუნების მეტყველთა და ექიმთა დიდი
...კრების გახსნის დროს ყველაზე დიდი
...შთაბეჭდილება წარმოთქმულ სიტყვით
...მოახდინეს შანიავსკის სახელობაზე მოსა-
...კოვში დაარსებულ თავისუფალ უნივე-
...სიტეტის წარმომადგენლებმა და გუბერ-
...ნიის წინამძღოლმა კონსტ. აბხაზმა უფ-
...რო ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა
...ალ. ხატისოვის სიტყვამ, რომელიც ხე-
...ლოვნური ფათოსით იყო წარმოთქმული.

———

18 ივნისს პეტერბურგში დაიწყო მუ-
...შათა გაფიცვა. გაფიცვის მიზეზია ბალ-
...ტიის ფლოტის 52 მატროსის გასამა-
...რთლება. 19 ივნისს პეტერბურგში გაი-
...ფიცა 40.000 მუშა. ზოგიერთ სტამბებში
...მუშაობა შესწყდა. 20 ივნისს არ გამო-
...სულა გაზეთები „პრავდა“, „ლუჩ“,
„დენ“.

———

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ თვის
...გასულს გორის სავაჟო გიმნაზიის ქარ-
...თული ენის მასწავლებელი და გაზ.
„ქართლის“ რედაქტორი ია ეკალაძე, ცინ-
...ცაძე **იმერეთის დაბა-სოფლებში** წაი-
...კითხავს ლექციას: კრიტიკული განხილ-
...ვა ნ. ბიუკანანის ლრაძის „სიმახინჯე“-
...სი **და მიზეზები ქართველ ახალ გაზ-
...დათა უმრავლესობის დამახინჯებისა.**
ლექციების შემოსავალი მოხმარდება
...გაზეთ „ქართლის“ გამოცემას.

როგორც ვიცით გაზეთი „ქართლი“
...გამოდიოდა ქ. გორში იქ შემდგარ „ამ-
...ხანაგობის“ ხარჯით, მაგრამ შინაურ
...უთანხმოების გამო ამ გაზეთის გამოცე-
...მა დროებით შეჩერებულ იქმნა.

ვისაც კი ესმის სასოფლო გაზეთის
...მნიშვნელობა ისეთ მიყრუებულ მაზრი-
...სათვის, როგორც გორის უზარმაზარი
...მაზრაა, ეჭვი არ ერის ეკალაძის ლექ-
...ციის გამართვას ხელს შეუწყობს ზნე-
...ობრივადა და ნივთიერად.
...თუ დრო დაურჩა ბ-ნ ეკალაძეს, ამავე
...ლექციას წაიკითხავს **ამერეთის** და-
...ბა სოფლებშიაც.

———

...რედაქციამ მიიღო ზ. ჭიჭინაძის საინ-
...ტერესო გამოცემა „საქართველოს ცხო-
...ვრება“ ახალი ძოთხრობა 1469 წლიდან,
...ვიდრე 1800 წლამდე. წიგნში მოთავსებუ-
...ლია მე-XVIII და XVII საუკუნის კახელ
...და ქართლელ გამამდიანებულ მეფეთა
...სურათები რიცხვით **32.** წიგნი 400
...გვერდია და ღირს 1 მ. ამ წიგნში მო-
...თავსებულია შემდეგი ავტორების წერი-
...ლები. 1. სეხნია ჩიეიძისა 2. პაპუნა ორ-
...ბელიანისა, 3. რომან ხერხეულიძისა, 4.
...ფარსადან გორგიჯანიძისა და სხვა.

სახელ-დახელ-ოდ

ამაო წადილი.

გამოვიარეთ ცივი გაზაფხული. ჩვენ
...დროში ადამიანი ისეთ გუნებაზეა მუ-
...დამ-ყამს, რომ სურს ბუნებისა და ცხოვ-
...რების ყოველნაირი უკეთმართობა ბო-
...ბოლებს დააბრალოს. მეც, ძალა-უნებუ-
...რად, ჩვეხთვის არა-ჩვეულებრივი ცივი
...გაზაფხული მინდა მათ მივაწერო: ალბად
...ცდილობენ ჰავაც გადაგვიგვარონ და
...თითქოს აღწევენ კიდევაც საწადელს.
...ჩრდილოეთ ქალაქივით ჩვენი თბილი
...ქალაქიც ცივი სინესტით აივსო...

...რატომ არ შეიძლება ჰავის გადაგვა-
...რება? განა შეუძლებელია, რომ ჩვეხშიაც
...გაჩნდნენ ისეთი ბობოლები, რომელთა
...შესახებ ასეთი საყვარელი ლიმილით მო-
...გვითხრობს სახელგანქმული მოღვაწე და
...მწერალ-მეცნიერი ელიზე რეკლიუ? განა
...ვერ იპოვით ჩვენში დღესაც ისეთ ბო-
...ბოლას, რომელსაც შეუძლია თამამად
...მიმართოს ხალხს შემდეგი სიტყვებით:
„ისმინე ხალხო! იმისათვის ვარ მოწო-
...დებული თქვენ შორის, რომ ბლომად
...ჩამოვასახლო თქვენში ჩვენი ქვეყნის
...გლეხები, ცხენები, ხარები, ძაღლები,
...კატები და თაგვები. დაემორჩილეთ თქვენ
...სვე-ბედს, ტყუილად ნუ ეწინააღმდეგე-
...ბით ისტორიის ძლევა-მოსილ კანონს.“!

...თუ სხვის თაგვს ჩვენი თაგვის გადა-
...გვარება შეუძლია, რატომ არ შეუძლია
...ჩვენი ჰაერის გადაგვარება სხვის ჰაერს?
...ჰაერი ხომ პაწია თაგვზე ბევრად უფრო
...დიადი, თვალ-უწვდენია, რამდენიმე ათი
...ვერსის სისქე აქვს და ვერავითარი საზ-
...ღვარი ან დაბრკოლება ვერ შეაჩერებს.
...რაც უნდა გიჭიმნენ კავკასიის უდიდესი
...დარაჯები—იალბუზი და ყაზბეგი, თვის
...კენწეროზე მაღლა ვერ ახტებიან, ხუთ-
...ექვს ვერსს ვერ აღემატებიან და ჩრდი-
...ლოეთიდან ყოველ-მხრივ მოწოლილ ჰაერს
...ვერ შეაჩერებენ.

...მაგრამ შიში და დაღრეჯილობა მაინც
...არ გვმართებს, როცა გადაგვარების, ეგ-
...რედ-წოდებულ ასიმილიაციის დღევან-
...დელ მიმართულებას დაუკვირდებით და
...შემდეგ ჩვენი ხალხის მდგომარეობას თვალს
...გადაავლებთ, საშიშარს ვერაფერს დავი-
...ნახავთ.

...მართალია, ყოველნაირ საშვალებას
...ხმარობენ უცხო ტომთა გადაგვარებისა-
...თვის. ისეთ მაგალითებს ვხედავთ, რო-
...გორც ამას წინად სათათბიროში ერთი
...პოლონელი დეპუტატისაგან მოთხრობი-
...ლი ამბავია: პოლონეთის სკოლებში,
17 ოქტომბრის კანონის წინაალმდეგ,
...საღვთო სჯულსაც რუსულ ენაზე ასწავ-
...ლიან; მშობლების განცხადებას ყურად-
...ღებას არ აქცევენ და თვით სკოლის
...გამგენი გადასწყვეტენ ხოლმე, რომელ
...ერს ეკუთვნის ესა თუ ის მოწაფე.

...დარწმუნებულნი არიან, რასაკვირველია,
...რომ სახელმწიფოს უდიდეს დანიშნუ-
...ლებას, მაღალ იდეას ემსახურებიან და
...ამ იდეამ თვითეულ ქვეშევრდომზე უკედ-
...იცის, რომელ ეროვნებას ეკუთვნის იგი.
...აბა რა შეგნება აქვს ნაციონალური
...იდეისა ბრიყვ და გაუნათლებელ უცხო
...ტომის ხალხს? იმას ყალბად, შეუგნებ-
...ლად სწამს თავისი უცხო-ტომობა; ერო-
...ვნულად მკვდარია, თავი კი ცოცხალი
...ჰქონია.

...რა გვეთქმის ამის საპასუხოდ? მხო-
...ლოდ ერთი ძველი არაკი უნდა გავიხ-
...სენოთ.

...ბრძოლის ველზე მტერთა შორის ცხა-
...რე შეტაკების შემდეგ ერთი მხარე და-
...მარცხდა და უკუქცეულ იქმნა. გამარჯ-
...ვებული რაზმის ექიმი გამოვიდა ველზე;
...გასინჯა დაჭრილ-დახოცილები და გან-
...კარგულება მისცა ფელდშერებსა და ჯა-
...რის კაცებს მკვდრები დაემარხათ და
...დაჭრილები ველის საავადმყოფოში წაე-
...ღოთ. მებრძოლთა ჩვეულებისამებრ და-
...ხოცილებს მაინცა და მაინც ფრთხილად
...და ზრდილობიანად არ ეკიდებოდნენ:
...პირდაპირ ფეხთა მიათრევდნენ ყველასა-
...თვის საერთოდ ამოთხრილ სამარისაკენ.
...სწორედ ასე, ფეხით მიათრევდა ერთი სალ-
...დათი ექიმის მიერ მკვდრად ცნობილ
...სალდათს, რომელიც თურმე ცოცხალი
...იყო, გამწარების გამო გონზე მოვიდა და
...მიმართა თავის ახირებულ ჭირისუფალს:
„რას მიშვრები, თავი დამანებე, მე ცო-
...ცხალი ვარ“.

...—ხმა გაკმიდე!—შეჰღრიალა უფროსთა
...განკარგულების ბრმად მორჩილმა სალ-
...დათმა:—ექიმმა შენზე კარგად იცის,
...მკვდარი ხარ, თუ ცოცხალი!

...სწორედ ამ სალდათის შეგნება აქვთ
...დღეს ზოგიერთებს, რომელთაც სწამთ,
...რომ უცხო ტომის ხალხზე უფრო კარ-
...გად ღიადი სახელმწიფოს იდეამ იცის,
...ეროვნულად მკვდარია თუ ცოცხალია
...ეს ხალხი.

...ამისთანა ახირებული ჭირისუფლები
...განა საშიშრონი არიან? რა შორსმჭვრე-
...ტელობა შეუძლია ყალბი ნაციონალური
...იდეით დაბრმავებულ ადამიანს?

...მეორმოცდაათე წლებში საქართველოს
...ეწვია ცნობილი საფრანგეთის მწერალი
...ალექსანდრე დიუმა (მამა). იმ დროის
...ქართულ ჟურნალის „ცისკრის“ რედაქ-
...ტორმა კერესელიძემ ვახშამი გამართა
...უცხოელი სტუმრის პატივსაცემად და თა-
...ვისი უახლოესი თანამშრომელნი დაჰპა-
...ტიჟა. ვახშმის დროს ალექსანდრე დიუ-
...მამ ჰკითხა კერესელიძეს, რამდენი ხელის-
...მომწერი ჰყავს თქვენ ჟურნალსაო. ჩვენი
...რედაქტორი დაიბნა, ერთბაშად ვერ უპა-
...სუხა და თვის გვერდით მჯდომ ამხანაგ-
...სა და თანამშრომელს ჰკითხა,—ასი რომ
...უთხრა, დაიჯერებს, თუ არაო?

...ერთად-ერთ ქართულ ჟურნალს იმ
...დროს მხოლოდ სამოცდაათი ხელის მო-
...მწერი ჰყ ვდა, რომელთა შორის ძლივს
...ერთი ნახევარი იხდიდა ფულს დიდის გა-
...ჭირვებითა და ვაი-ვაგლახით. მეორე ნა-
...ხევარს კი, მოგვითხრობენ, ფულის მა-
...გიერ, ჟურნალის ფასში, მამულის ნა-
...ყოფს—პურს, ყველს და ბატ-ქათამ-ინ-
...დოურს ართმევდა პატივცემული რედაქ-
...ტორიო.

...ერთ საუკუნეზე მეტია, რაც რომ
...სწარმოებს საქართველოს გარუსების
...გრმა პოლიტიკა და მხოლოდ იმას მი-
...აღწია, რომ დღეს არც ერთი ქართული
...გამოცემის რედაქტორი არ დაიბნევა,
...ვინმე უცხოელმა რომ ჰკითხოს, რამდე-
...ნი ხელის მომწერი გყავსო, რადგანაც
...ხელის მომწერნი დღეს რამდენიმე ათა-
...სობით ითვლებიან; ჟურნალ-გაზეთების
...რიცხვიც ჩვენში საკმაოდ გაიზარდა.
...ცხადია, რომ არც ერთი ჩვენი რედაქ-
...ტორთაგანი დღეს იძულებული არაა
...მხარზე ხურჯინ-გადაკიდებული თავის
...ხელის მომწერთა კარ-და-კარ იაროს და
...ჟურნალის ან გაზეთის ფასში—პური,
...ყველი ან ბატ-ქათამ-ინდოური გამოს-
...ინოლოს.

...ამავე დროს დღეს ქართულ ჟურნალ-
...გაზეთების მკითხველნი არა მემამულენი,
...არამედ უმრავლესად მუშა ხალხია.

...თავის დღეში არ დამავიწყდება შემ-
...დეგი, დიდად სანუგეშო ცოცხალი სუ-
...რათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან. ერთ-
...ხელ გურიის სოფელ-სოფელ ვმგზავრო-
...ბდი ცხენით და ერთ მიყრუებულ სო-
...ფელში შევიარე, მეინტერესებოდა იმის
...შეტყობა, მოსდის ამ პატარა სოფელში
...ვინმეს გაზეთი თუ არა: მეინტერესებო-
...და საზოგადოდ და პირადად ჩემთვის.
...ერთი წერილი მქონდა გაგზავნილი რე-
...დაქციაში, რომელიც კარგა ხანია
...ერთ და ერთ ნომერში უნდა დაბეჭდი-
...ლიყო, მე კი მგზავრობის დროს ის ნო-
...მერი არ მინახავს. გავაჩერე ქუჩაში ერთი
...ცოცხლად მოსიარულე მკვირცხლ-თვა-
...ლებიანი გურული სოფლის ბიჭი, ასე
...თორმეტ—თუთხმეტის წლისა და ვკითხე,
...ხომ არაკის მოსდის თქვენ სოფელში ესა
...ეს ქართული გაზეთი მეთქი. როგორ
...არა: აი იმ ჩვენ სოფლის მჭედელს მოს-
...დის,—მიპასუხა პატარა ბიჭმა, თან თვა-
...ლებში ცნობის მოყვარეობის შუქი აენთო
...და მკითხა, რათ გინდათ, ბატონო, ის
...გაზეთიო. უთხარი ჩემი განზრახვა და
...ჩემი სახელი და გვარი.

...—ამას წინად მჭედლისას ვიყავით სა-
...ღამოს თავ-მოყრილი,—მიპასუხა გახა-
...რებულმა პატარა ბიჭმა და მასპინძელმა
...სხვათა შორის თქვენი წერილიც წაგვი-
...კითხა.

...ყმაწვილმა თანაგრძნობით, ცოცხლად
...და დალგებით მიამბო ჩემი ნაწერის
...შინაარსი.

...ეს ერთი უდიდესი წამი იყო ჩემ ცხო-
...ვრებაში, რომელმაც ორკეცი ცხოველ-
...მყოფელი ძალა შეძინა: ნათლად დავ-
...რწმუნდი: ადამიანის აზრს ისეთი ძალა
...ჰქონია, რომ იგი ცხოვრების სულ
...მიყრუებულ კუნჭულშიაც გზას გაიკა-
...ფავს; ამავე დროს ცხადად დავინახე: ჩვენ
...მუშა ხალხში ისეთი ცნობის მოყვარეობა
...და სულიერი წყურვილი ყოფილა, რომ
...სოფლის ბავშვებიც სიამოვნებით უსმე-
...ნენ ისეთ წერილების კითხვას, რომელ-
...თაც არა დღიური, არამედ საზოგადო
...მნიშვნელობა აქვთ.

...ამ დროს კი ვიღაც უდარაჯებს გურიის
...მიყრუებულ სოფლის ქუჩაზე ცოცხლად
...მოსიარულე მკვირცხლ-თვალებიან გუ-
...რულ პატარა ბიჭს, ეშმაკურად უთვალ-
...თვალებს, რათა მოხერხებულ დროს ფე-
...ხში ხელი სტაცოს და ეს სიცოცხლით
...სავსე მოვლენა მკვდარ ეროვნებათა სა-
...მარეში გადუძახოს; რადგან ასეთია დი-
...ადი იდეის განკარგულებაო.

...ამაო წადილია! ჩვენდა სასიხარულოდ,
...როგორც მზის სხივის, ისე იმ სიცოცხ-
...ლით სავსე პატარა გურული ბიჭის ხელში
...ჩაგდება და გაქრობა შეუძლებელია...

ილია ნაკაშიძე.

ომი ბალკანეთზე.

...გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის
...საიუბილეო დღესასწაულის დროს ამე-
...რიკელმა მილიარდერმა მიმართა იმპერა-
...ტორს და მოახსენა:

...—მთელი ქვეყანა მადლიერია თქვენი,
...რომ თქვენის მეფობის 25 წლის განგ-
...ავლობაში ქვეყანაზე ომი არ მომხდარა
...და მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

...იმპერატორმა უპასუხა:

...—იმედი მაქვს, რომ მშვიდობიანობა
...კიდევ 25 წელს არ დაირღვევა.

...როგორცა სჩანს, იმპერატორსა და
...ამერიკელ მილიარდერს სახეში ჰქონიათ
...მხოლოდ სამხრეთ ევროპის დიდი სახე-
...ლმწიფონი და ამერიკა. 1900 წელს ჩი-
...ნეთზე მთელი ევროპისა და რუსეთის
...გალაშქრება, რუსეთისა და იაპონიის ომი,
...ოსმალეთ იტალიის ომი და ოსმალეთზე
...ოთხი სახელმწიფოს თავდასხმა გერმანიის
...იმპერატორსა და ამერიკელ მილიერდერს
...მშვიდობიანობის დარღვევად არ მიიჩნი-
...ათ...

...მით უმეტეს არ მიიჩნევენ მშვიდობი-
...ანობის დარღვევათ უკვე ატეხილ ჩხუბს
...ბულგარეთსა და სერბიას შორის.

...რა ენაღვლებათ დიდსა და მძლავრს
...სახელმწიფოთ, თუ ისეთი პატარა სახელ-
...მწიფოები ჩხუბობენ, როგორც არიან
...სერბია და ბულგარეთი... საშიში მხოლოდ
...ის არის, რომ ომში მძლავრი სახელ-
...მწიფონი არ ჩაერევნენ და საერთაშო-
...რისო, თითქმის მსოფლიო ომი არ მო-
...ხდეს.

...ამ შიშის გამო ყველა ძლიერი სახელ-
...მწიფო მეტად ფრთხილადა და წინ-დახე-
...დულად იქცევა. როდესაც საბერძნეთი,
...სერბია, ბულგარეთი და შავგორეთი
...ოსმალეთს დაეცნენ, დიდ სახელმწიფო-
...ებს წარბიც არ შეუხრიათ:

...—არაფერია. საერთაშორისო განწყო-
...ბილებას ბალკანეთზე ეგ ომი ვერაფერს
...დააკლებს, ეგრედ წოდებული „სტატუ-
...სკვო“ შეურყეველია.. ფრანგებს საზო-
...გადოდ ოხუნჯობა უყვართ და ამ დროს
...საფრანგეთის გაზეთებმა ოხუნჯეს კიდეც.
...დაბეჭდეს სამგლოვიარო განცხადება:
...ქალბატონი „სტატუსკვო“ გარდაიცვა-
...ლაო.

...ოსმალეთთან ომი თითქმის გათა-
...ვებულია. დამტკიცდა ოსმალეთის სისუ-
...სტე: ოთხ პატარა სახელმწიფოსთან ვე-
...რაფერს გახდა. ბრძოლა შეჩერდა, მაგრამ
...მშვიდობიანობა არსად არის. ეხლა დიდი
...უთანხმობა ჩამოვარდა სერბიასა და
...ბულგარეთს შორის. გუშინდელი მეგო-
...ბრები დღეს მოსისხლე მტერებად გადა-
...იქცნენ და ერთმანეთს განადგურებას
...ემუქრებიან.

...ეხლაც დიდნი და ძლიერნი სახელმწი-
...ფონი ფრთხილად და წინდახედულად
...იქცევიან. მართალია, ამბობენ, რომ
...ავსტრია-უნგრეთსა და ბულგარეთს საი-
...დუმლო კავშირი შეუკრავთ მათ წინა-
...ალმდეგ, ვინც მოუსურვებს რაიმე წინააღ-
...მდეგობა გაუწიოს ამ ორ სახელმწიფოს,
...მაგრამ ეს კავშირი ჯერ კიდევ იმას არ
...ნიშნავს, რომ ავსტრია-უნგრეთმა ვისმეს
...ომი გამოუცხადოს.

...მეტად სამწუხარო ამბები მოდის ბალ-
...კანეთიდან. ბულგარეთისა და სერბიის
...ჯარები ერთმანერთს დაერივნენ, ორი-
...ვე მხრიდან ზარალი დიდია. მაგრამ, რო-
...გორცა სჩანს, ბულგარეთის ჯარი უფრო
...დაზარალდა. ორი დღის ბრძოლის შემ-
...დეგ ბულგარიის ჯარმა ველარ გაუძლო
...სერბიის ახალსა და ძლიერ არტილერი-
...ას და უკან დაიწია. იმავე დროს მომ-
...ხდარა ბრძოლა საბერძნეთის და ბულგა-
...რეთის ჯართა შორის.

...არავინ იცის ამ ბრძოლით გათავდება
...საქმე, თუ ომი გაგრძელდება.

...ბულგარეთის მთავრობამ ბრძანება გასა-
...ცა ბრძოლა შესწყდესო, თუმცა იმავე
...დროს უბრძანა ჯარს, თუ მტერმა შე-
...მოგიტია, იარაღითვე გაეცი პასუხიო.

...საბერძნეთისა და სერბიის მთავრო-
...ბას-კი ასეთი ბრძანება ჯერ არ გაუცია.

...საყურადღებოა, რომ ერთის მხრით
...ბულგარეთი და მეორე მხრით საბერძნე-
...თი და სერბია თავის თავს ამართლებენ
...და ერთი მეორეს აბრალებენ ომის დაწ-
...ყებას.

...დიდ სახელმწიფოთა აზრით, ბალკა-
...ნეთზე საქმეთა ვითარება ისეთია, რომ
...ომი მალე არ შეწყდება. ერთად ერთი
...იმედია, თუ რუსეთი ჩაერია საქმეში.
...ინგლისის დიპლომატები-კი ამბობენ,
...ეხლანდელს ომს ბალკანეთზე ვერავინ
...ვერ მოსპობს. ისიც კარგია, თუ ომში
...ბულგარეთისა, საბერძნეთის და სერბიის
...გარდა სხვა რომელიმე სახელმწიფო არ
...ჩაერიაო.

ქუთაისის ქალაქის გამ-გეობის დღესასწაული.

...ასე უნდა ვუწოდოთ 16 ივნისის დღეს,
...რადგანაც ამ დღეს ქალაქის გამგეობამ
...დიდის ამბით იდღესასწაულა თავისი სა-
...ავადმყოფოს გახსნა. მოწვეული იყო ბევ-
...რი სტუმარი კურთხევაზე დასასწრებლად.
...დილის ათი საათიდან იწყო გარეშე ხალ-
...ხმა შეკრება საავადმყოფოს ეზოში; 12
...საათიდან სტუმრებიც შეკრიბდნენ; მათ
...ეგებებოდა დარბაზის შემოსავალში ქალა-
...ქის თავი. ქალაქში ეტლებს ველარ შეხ-
...ვდებოდით, ყველანი აქ იყვნენ თავმოყ-
...რილნი სტუმრების უკანვე წასაყვანად.
...პირველ საათზე მობრძანდა იმერეთის
...ეპისკოპოზი გიორგი, რომელსაც უცდი-
...და ადრე მოსული კრებული; სამღვდე-
...ლოება მაშინვე შეუდგა კურთხევის სამ-
...ზადისს. პარაკლისის დაწყებამდე ყოვ-
...ლად სამღვდელო გიორგიმ წარმოსთქვა
...შემთხვევის შესაფერისი სიტყვა, რომ-
...ლშიაც აღნიშნა საავადმყოფოს მნიშვნე-
...ლობა. პარაკლისის შემდეგ ქალაქის თავ-
...მა ილია ჩიქოვანმა მიმართა საზოგადო-
...ებას სიტყვით, რომლითაც გააცნო დამ-
...სწრეთ საავადმყოფოს მოკლე ისტორია
...და ყოველივე ინგარიშები. ქალაქის სა-
...ავადმყოფოს გახსნა განუზრახავს ქალა-
...ქის საბჭოს 1898 წელში და 1907 წელ-
...ში კიდევაც გადაუწყვეტია; 1909 წელ-
...ში შეუდგენ შენობის აგებას კომისიის
...მიერ არჩეულ ადგილზე „საღორიის აგა-
...რაკში“ კახიანოურის ბოლოზე, რიონის
...სადგურისაკენ მიმავალ რკინის გზის
...ლიანდაგის მარცხენა მხრით; ადგილი
...მაღლა-ი და გაშლილია, გარშემო მუხ-
...ნარის ტყე ასხია, აღმოსავლეთით გადა-
...ცქერის მდ. წყალწითელას ხეობას და
...დასავლეთით მდ. რიონს და ქალაქის
...სამხრეთის ნაწილს. სამ სართულიანი შე-
...ნობა 74 ოთახიანია, ელექტრონის განა-
...თებით; შენობა დამჯდარა 67, 132 მან.,
...მოწყობა საავადმყოფოსი კი 9, 172 მან.,
...კიდევ მოელის ხარჯი 4 ათასამდე და ამ
...გვარად საავადმყოფო დაჯდება სულ 80
...ათასი მანეთი. შტატი შესდგება 25 კა-
...ცისაგან, (ამათ რიცხვში ოთხი ექიმია)
...და 10 დამბალი მსახური) საავად-
...მყოფოში არის 75 საწოლი, ამ რიცხვში
ათი უფასო ღარიბთათვის. ინგარიშის
...წაკითხვის შემდეგ სამღდელოება შეუდგა
...ოთახების ჩამოვლას და წმ. წყლით სხუ-
...რებას, რამაც გასტანა ნაშუადღევის სა-
...ი საათის ნახევრამდე. ეზო ავსებული
...იყო აუარებელი ხალხით, საავადმყო-
...ფოს შენობა და ეზო სადღესასწაულოდ
...იყო მორთულ-მოკაზმული. ლიტანიამ
...შემოუარა საავადმყოფოს შენობის გარ-
...შემო, რომლის დროს გადაღებულ იქ-
...მნა ფოტოგრაფით და კინემატოგრაფით.
...სამ საათზე მიიწვიეს სტუმრები სადილზე.
...მესამე სართულის გრძელ ტალანში გაშ-
...ლილი იყო სუფრა ოცი საჟენის სიგრ-
...ძეზედ, რომელსაც შემოუსხდნენ გარ-
...შემო სტუმრები. სუფრის ბოლოში იჯ-
...და თამადა ქალაქის თავი, შემდეგ ეპის-
...კოპოზი გიორგი, ქუთაისის გუბერნატო-
...რი ა. სლავოჩინსკი, მხოცავნი მგოსანი
...აკაკი, გუბერნიის ყოფილი და ახლად
...არჩეული მარშლები, და სსვ. სულ რიც-
...ხვით 160 მდე. წარმოითქვა სადღე-
...გრძელოები და გაიგზავნა სხვა და სხვა
...დეპეშები.

...გაეგზავნა აგრეთვე თბილისს „სრულ-
...იად რუსეთის ბუნების მეტყველთა და
...ექიმთა მეცამეტე კრებას“ ორი მისალო-
...ცი დეპეშა, ქუთაისის ექიმთა საზოგადო-
...ებისაგან და ქალაქის გამგეობისაგან.

...შემდეგ თამადამ აღღერგძელა რიგ-რი-
...გად სტუმრები; ყოველ სადღეგრძელოს
...მოჰყვა „მოავალჟამიერ“. სტუმრებმა სა-
...მადლობელ სიტყვებში უსურვეს ახალ
...საავადმყოფოს წარმატება და კეთილად
...მოქმედება. მგოსანმა აკაკიმ სამადლობე-
...ლი დალია მოხდენილ სიტყვით და და-
...სასრულ დაუმატა: **„როგორც** ამტკი-
...ცებს ამ აგარაკის სახელწოდება, „საღო-
...რია“, ძველად აქ ღორების სამწყესავი
...ადგილი ყოფილა და დღეს კი ქალაქის
...გამგეობის თაოსნობით რომ ასეთი სასა-
...რგებლო დაწესებულება გაიხსნა, მეტად
...მოხარული ვარ და ვუსურვებ წარმატე-
...ბას.“ აკაკის სიტყვებმა გააცინა საზოგა-
...დოება. იმის შემდეგ სიტყვა წარმოს-
...თქვეს ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის
...ინსპექტორმა ტ. ჯაფარიძემ და შინაურ
...საქმეების რედაქტორმა დეკანოზმა სიმ.
...მჭედლიძემ. წარმოითქვა კიდევ მრავა-
...ლი სიტყვა საავადმყოფოს გახსნის შესა-
...ხებ, ყველამ უსურვა ნაყოფიერი მოქმე-
...დება ახლად გახსნილ საავადმყოფოს.
...საათის ხუთიდან სტუმრებმა დაიწყეს და-
...ბოლოს შლა. გაიმართა შინაური მოლხე-
...ნა, რომელმაც გასტანა საღამოს შვიდ
...საათამდე. საზოგადოდ დღესასწაულმა და
...ნადიმმა მეტად მხიარულად ჩაიარა; ეს
...მნიშვნელოვანი დღე დარჩება სამახსო-
...როდ ქუთაისის ქალაქის გამგეობის
...მოქმედების ისტორიაში.

ლადო ბზვანელი.

ი. ისაკაძის გარდაცვა-ლების გამო.

(თბილისის რაჯველების საყურადღებოდ).

...განსვენებულ ი. ისაკაძის ტრაგიკულ-
...მა შემთხვევამ ჩვენ, ქუთაისის რაკველო-
...ლობა მეტად შეგვაწუხა. უბედური იო-
...ბა, მართალია განათლებული კაცი არ
...იყო, მაგრამ სამაგიეროდ შეგნებული
...მუშა იყო თავის წრეში. მან ბევრი კარ-
...გი საქმე გააკეთა თავის ქვეყანაში, თბი-
...ლისის მუშებშიაც ყურადღება ჰქონდა
...დამსახურებული და ბევრი კარგი იდეების
...განხორციელებას აპირებდა. მან განიზ-
...რახა მოეწვია რაჭაში დიდებულნი მგო-
...სნები ილია და აკაკი და დღე და ღამ
...სულ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ
...მოეწყო ეს საყურადღებო „მოგზაურობა.
...ილიას აღარ არგუნა შეუბრალებელმა
...მტრის ხელმა ასეთი ხვედრი, ხოლო
...აკაკის მოგზაურობა კი მოეწყო. ამ მო-
...გზაურობის მოწყობას იობა დიდი ხნი-
...დან შეუდგა: მან ჯერ თბილისის რაკვე-
...ლებში მოაწყო საქმე და შემდეგ აცნო-
...ბა ქუთაისში, იობამ აისრულა ეს წადი-
...ლი და გააცნო რაჭის მცხოვრებლებს
...მგოსანი აკაკი, ხოლო აღარ დასცალდა
...მეორე მიზნის განხორციელება: ის ცდი-
...ლობდა დაეარსებინა თბილისში „რაკვე-
...ლების დამხმარე საზოგადოება“. და კი-
...დევაც განახორციელებდა, რომ დასცა-
...ლოდა. იობას გარდაცვალების შემდეგ
...ბევრმა დრომ გაიარა, დაიბეჭდა მრავალი
...თანაგრძნობის წერილი სულ გარეშე
...პირებისაგან, ხოლო სამწუხაროდ, იობას
...ამქრისაგან არავითარი წერილი და თა-
...ნაგრძნობა არ გამოცხადებულა. ნუ თუ
...ამაში გამოიხატა მათი პატივისცემა?!

...ესეც არის აღსანიშნავი, რომ თბილი-
...სის რაკველებისაგან მიცვალებულის ჩა-
...მოსვენების შესახებ ცნობა არ მიუღია აქა-
...ურ რაკველებს, რომ დანიშნულ დროს შევ-
...ხვედროდით სადგურზე; გვიან გავიგეთ
...და ძლივს მოვასწარით შეკრება ვოგზალ-
...ში. გარეშე პირთ, მასწავლებლებს ს.
...დათუმიძეს, დ. მდივანს, ს. მჭედლიძეს
...ლადო ბზვანელს, როდესაც გაეგოთ გა-
...ზეთის საშუალებით იობის გადაცვალება,
...რადგან არ იცოდნენ, ჩამოსვენება როდის
...იყო დანიშნული, 29 და 30 მაისს დი-
...ლა საღამოს მოდიოდნენ ამბის შესატ-
...ყობად ვოგზალში და იმ საღამოს შემ-
...თხვევით დაგვესწრენ. მგოსან აკაკისთან
...მე თვითონ მივედი სასტუმროში და რად-
...განაც მან შეუძლებლობისა გამო სად-
...გურზე მოსვლა ვერ მოახერხა, სამძიმარი
...რაც დამბარა ჭირისუფალთან, მათ გა-
...დავეცი. დასასრულ, იმედი მაქვს, თბი-
...ლისის რაკველობა იობის მიერ დაწყე-
...ბულ საქმეს „დამხმარე საზოგადოების“
...დაარსების შესახებ მალე განახორციე-
...ლებს და მით უკვდავ ჰყოფს იმის სახელს.

...ამ საქმეში ჩვენც, აქაური რაკველები,
...მსურველნი ვართ მივიღოთ მონაწილეო-
...ბა, რათა კეთილად დაგვირგვინდეს ასე-
...თი ფრიად სასარგებლო და სიმპატიური
...მოსაზრება.

სპირიდონ სხიერელი.

უცხოელთა შორის.

...ნ სართულიანი სახლი ამერიკაში—„ბაღი
—ქალაქი“.—ბედნიერი ქალაქი.—ახალი
გამოგონება.

...ამერიკელებმა ლამის ბაბილონელთ
...გადააჭარბონ. ნიუ-იორკში, ბროადვეის
...ქუჩაზე ეხლახან დამთავრდა მთელ ქვეყნი-
...ერებაზე უდიდესი ... უმაღლესი შენობა.
...ხუთი წლის წინეთ უმაღლეს შენობად
...დედამიწის ზურგზე ითვლებოდა ზინგე-
...რის სახლი, სიმაღლით 88 საჟენი. შემ-
...დეგ გაშენდა უფრო მაღალი სახლი
...მეტროპოლიტენი, სიმაღლით 100
...საჟენი. ახალი შენობა ვულვორტს
...ეკუთვნის. ამ სახლის სიმაღლეა 112
...საჟენი. სახლი 55 სართულიანია. ყვე-
...ლა სართულებში აყვანილია ცივი და
...ცხელი წყალი. მთელს შენობას ათობს
...ოთახებში მილებით გაყვანილი ორთქლი.
...ზემო სართულებში ასასვლელ ჩამოსას-
...ვლელად გამართულია ელექტრონის
...ელევატორები. შენობასა აქვს

ბძანდებით ვაგონში და მიქროლავთ. მიხვედით თქვენ უბნამდე. გამოხვალთ სადგურზე. ახვალთ კიბეზე და ისევ მზეს დაინახავთ.

ამ გვარი ცხოვრება მოგბეზრდათ ევროპიელებს და გადასწყვიტეს ახალი ქალაქების გაშენება. ინგლისში დაარსდა საქციონერო საზოგადოება „ბაღ-ქალაქების“ გასაშენებლად. ინგლისს მიჰბაძა გერმანიამ. ეხლა ინგლისში უკვე სამი „ბაღი-ქალაქია“: ლეჩვორტი, გემპსტედი და ბრონვილი და გერმანიაში—გელერაუ. უეჭველია, ამას იქით, საცად-კი ახალი ქალაქი დაარსდება, უეჭველად „ბაღი-ქალაქი“ იქმნება.

***

ბელგიაში არის ერთი მეტად შესანიშნავი ქალაქი—გენტი. არსად დედა-მიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი ქალაქი, სადაც წვრილი კოოპერაცია ისე იყოს გავრცელებული, როგორც გენტში. სრულიად ღარიბ ოჯახს, რომელსაც თვისი საკუთრება არაფერი მოეპოვება, სამაგიეროდ აქვს საზოგადო, კოოპერატიული მშვენიერი სასახლეები, ქარხნები, მაღაზიები. ძუშები თვითონ არიან ქარხნების პატრონები. ღარიბი, არაფრის მქონე მუშა, რომელსაც გროში არა აქვს შენახული, სრულიად უზრუნველყოფილია, თუ ვინიცობაა დასნეულდა, მუშაობა ვეღარ შესძლო, კოოპერაცია ვალდებულია ყველა თავის წევრს დეხმაროს გაჭირვებაში. გენტის მცხოვრებსა და საზოგადოდ ბელგიელს, უყვარს ყოველგვარი კრება, ამხანაგობა, საზოგადოება. ფრანგები ამ სიყვარულისათვის დასცინიან თავის მეზობლებს. ხუთმა ბელგიელმა რომ ერთად ისადილონო, ხუმრობით ამბობს ფრანგი, საღამოთი უკვე დაარსდება ახალი „საზოგადოება ხუთი კაცისთვის დროს გასატარებელი“. საზოგადოება ირჩევს თავმჯდომერეს, ყიდულობს დროშასა და დალაბანდს. გენტის მცხოვრები მუდამ მხიარულია. საზოგადოდ ბელგიელს ძლიერ უყვარს, თურმე, სმა-ჭამა. ბელგიელს შეუძლიან სუფრაზე რომ სადილათ დაჯდეს, სადილი ვაშმად გადააქციოს. ღვინის სმა, სიმღერა, ოხუნჯობა და მუსიკა ძლიერ უყვართ.

***

მოწყენილი და დარდიანი ადამიანისთვის მეცნიერებამ მშვენიერი წამალი გამოიგონა—ანაბიოზი.

რა არის ეს ანაბიოზი?

მეცნიერებამ აღმოაჩინა, რომ თუ მძინარე ცხოველი გაიყინა, სიცოცხლე სრულიად არ ესპობა, შეიძლება ცხოველი რამდენიმე თვე ან რამდენიმე წელიწადიც გაყინული იყოს და მერე ისევ გაცოცხლდეს. მეცნიერები ამტკიცებენ, მალე დადგება დრო, როდესაც შესაძლებელი იქნება შემდეგი საოცარი ამბავი.

ადამიანს დაამძინებენ და ჩასდებენ საყინულეში. მერე ათისა, ოცის ანუ ასის წლის შემდეგ გათოშილ, ცოცხალ-მკვდარ ადამიანს გამოაღვიძებენ.

ეს ახალი საშუალება—ანაბიოზი ადამიანს გააბედნიერებს.

ვსთქვათ, მე ძლიერ ღარიბი ვარ და გამდიდრების სურვილი კი დიდი მაქვს. გავყიდი, რაც რამ მაბადია, შევაგროვებ ასიოდე მანეთს და შევიტანთ სახელმწიფო ბანკში. მერე მივალ მეცნიერთან და ვეტყვი.

—მე მსურს ასი წელიწადი ვიძინო და შემდეგ გავიღვიძო.

მეცნიერი დამაძინებს, ჩამდებს საყინულეში და ასი წლის შემდეგ გამომაღვიძებენ. წავალ ბანკში და გამოვიტან ფულს სარგებლით—კარგ ფული მერგება და ვიცხოვრებ არხეინად.

ვსთქვათ, მე არ მომწონს ეხლანდელი ცხოვრება და წეს-წყობილება და ძლიერ მეინტერესება ვიცოდე, როგორ მოეწყობა ჩვენში ცხოვრება ხუთასი წლის შემდეგ.

ხუთასი წლით გავიყინები და მერე გავიღვიძებ. იმედი მაქვს, რომ მაშინ უკეთესად ვიცხოვრებ.

ან კიდევ, ვსთქვათ, მევახშესი ფული მმართებს, ვალს დაეინებითა მთხოვს, არ მასვენებს, ძიჩივის, სიცოცხლეს მიმწარებს. აქაც დამეხმარება ანაბიოზი. დავიძინებ ასიოდე წლით, მერე გამოვიღვიძებ, მევახშე ცოცხალი აღარ დამხვდება და ვიცხოვრებ მოსვენებით.

მაგრამ ხათა ის არის, ვაი თუ მევახშემაც მიმართა იმ ანაბიოზსა და ფულის მიღების სურვილით იმანაც სწორედ იმდენ ხანს დაიძინა და რომ გამოვიღვიძებ, წინ დამიხვდეს და მითხრას:

—კაცო, რატომ არ მაძლევ ჩემ ფულებსა?..

რა მენაღვლება? თუ მოვალე ცოცხალი დამიხვდა, კიდევ ასიოდე წლით დავიძინებ.

ნარი.

წერილი ციმბირიდან

კირენსკის მაზრა (ირკუტსკის გუბ.) ეს მაზრა ერთ შორეულ ცივ და მივარდნილ მაზრათ ითვლება მთელს ირკუტსკის გუბერნიაში. სამაზრო ქალაქი კირენსკი თითქმის ათასი ვერსითაა დაშორებული რკინის გზას, სავოლოსტო სოფლები ხომ უფრო შორსაა. ასეთ შორეულ მივარდნილ და გადაკარგულ სოფლებად ითვლებიან: პრეობრაჟენკა და მეხტუსკი; ნაკლებ, მარა მაინც შორეულ, და უხეირო სოფლებათ: იჩორა, კორინგა და კარაპჩანკა. მდ. ლენას ნაპირათ გაშენებულ სოფლებს, თუნდ შორეულიც იყოს, კიდევ არა უშავს-რა, მიმოსვლა შეიძლება, ფოსტაც შედარებით ადრე მოდის, ძნელია, თუ ისეთ სოფლებში მოხვდი, რომლებიც ლენას კარგა დიდი მანძილით არის დაშორებული, ამიტომ მიმოსვლაც გაძნელებულია, ფოსტაც გვიან მოდის და რაც უფრო მეტად საგრძნობელია, სანოვაგე ძვირია, ხშირად ვერც შოულობენ, რაიმე სამუშაოს შოვნაც მეტად გასაჭირია, ასე რომ ასეთ სოფელში შიმშილობას უთუოთ გამოსცდი, თუნდა დახმარებასაც ღებულობდე ნათესავებისაგან. პირველობა ამ მხრით სოფელ პრეობრაჟენკას ეკუთვნის, შემდეგ მიყვება კოჩინგა, კარაპჩანკა და იჩორა, განსაკუთრებით საშინელებაა, თუ ბედმა რომელიმე ამ სოფელთაგანი გარგუნა, თორემ უმუშევრობა, სიძვირე და შიმშილობა ხომ კირენსკის მაზრაში ყველა სოფლებშია გაბატონებული. კირენსკის მაზრა რჩეულთა ხვედრია: აქეთ იგზავნებიან უფრო „მძიმე დამნაშავე“ პოლიტიკურები, ცუდი ყოფაქცევის და სხ. და სხ. ამის განსაზღვრაში კი დიდი ღვაწლი მიუძღვის ირკუტსკის ინსპექციას... ისე კი უნდა ითქვას, რომ სრული შემთხვევითია ხშირად აქეთ დანიშვნა გადმოსახლებულთა. ხშირად ხდება, რომ ავად მყოფს აგზავნიან ამ მაზრაში, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მახლობელ მაზრაში გადაყავთ, რადგან ავათ მყოფს აქაური ცივი ჰაერის ატანა არ შეუძლია. ნაკლებათ აგზავნიან ამ მაზრაში კავკასიელებს, მათ შორის ქართველებსაც. მაშინ, როდესაც ვერხოლენსკის, ბალაგანსკის და ნიჟნე-უდინსკის მაზრებში ჯგუფ-ჯგუფად იგზავნებიან ქართველები, აქეთ ძალოლოთ თითო-ოროლას თუ შეხვდები. თუ შეცდომით მოხვდება რომელიმე სუსტი აგებულებისა, იძასაც მალე მახლობელ მაზრაშივე აბრუნებენ. აქეთკენ ქალებსაც ნაკლებათ აგზავნიან. საზოგადოთ ისრაელეს უფრო მიყრუებულ და შორეულ სოფლებში აგზავნიან, ისრაელ ქალებსაც აქ უფრო ხშირათ შეხვდებით, ვიდრე სხვა ეროვნებისას.

გადმოსახლებულებში უფრო მეტ გაჭირვებას ისეთი ინტელიგენტები განიცდიან, რომელთაც დახმარება ძლიერ ნაკლებათ მოსდით, ძნელ სამუშაოს კი ჩვეულები არ არიან. ერთათ ერთი მასწავლებლობა და გაკვეთილები-ღა დარჩენილა მათი შესაფერი, მარა ეგეც ხომ ყველას არ შეხვდება, რადგან აქაურები სწავლას მაინცა და მაინც არ მისდევენ. რაც შეეხება მუშებს, ვინც კი მძიმე სამუშაოს ჩვეულია, მაინცა და მაინც შიმშილობა არ მოუწევს, თუმცა მაძღარიც ხშირად ვერ იქნება. აქ, როგორც საზოგადოთ მთელს ციმბირში, გვარიანი მოთხოვნილება აქვს შემდეგ ხელობებს: დურგლობას, სლესარობას, მჭედლობას, მეჩექმეობას, მკერლობას და პურის მცხობლობას. თუ ამ ხელობათაგანი რამდენიმე იცი, ხომ კიდევ უკეთესი, რადგან ხშირათ ხდება ისე, რომ ერთს არა აქვს დროებით გასავალი, სამაგიეროთ მეორე გადის. ისე რა სამუშაოს არ გამოკიდის კაცი, შიმშილის შიში რას არ მოაკიდებინებს ხელს! მე თითონ გამოვიარე და გამოვცადე შემდეგი საქმეები: ვიყავ დარაჯათ ძარილით დატვირთულ ბრიჟაზე, ვიმუშავე გადმოტვირთვაზე, მოვყევი ექსპედიციაში „ჩერპალკაზე“ მდინარის (საღრმავებელი მანქანა) სანიავებელ და სალენ მანქანაზე მუშაობა, შემის და მარილის ზიდვა ცხენ-შებმულ ურმით და მარხილით, მარხილითვე ვზიდე აგური და ყინული, ვეხმარებოდი სასლესრო და სამჭედლო საქმეებზედაც მარილის ზავოდის რემონტის დროს და სხ. და სხ. აქ ხომ რჩევაში არავინ შედის. ეგ ძმიმე საქმეა, ეგ ჭუკჭიანი და უსუფთაო! თუ კი სამუშაო გაოგიჩნდა, მეტი რალა გინდა! ხახლახან იმასაც კი აღარ კითხულობ, რას მიიღებ ასეთი მძიმე სამუშაოს შესრულებისთვის. მთელი დღის გახმავლობაში ნამდვილ კატორღულ მუშაობას ეწევი, ხელფასს კი მიიღებ არა უმეტეს ათასისა. ხშირათ კი 70-80 კაპ. ძართლა ძალიან ჯანძრთელი უნდა იყო, რომ აიტანო ასეთი ჯაფა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბევრი აკი ვერ იტანს, ავადმყოფდება, შიმშილი წუთი სოფლს ასალმებს. თავსაკვლაც ხშირი მოვლენაა აქეთკენ. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ამ პირობებში, რომლებშიაც ვარდებიან გადმოსახლებულები: მოწყვეტილი შეჩვეულ კუთხეს, გარშემო საიმედოს ვერაფერს ხედავს, არსით სამუშაო, არსაიდან დახმარება.

გადმოსახლებულთა რიცხვი საშინლათ იზრდება. ყოველ წელს ორასზე მეტი გადმოსახლებული იგზავნება აქეთკენ. ყველა ამათთვის სამუშაოს გამოძებნა აბა საიდან შეიძლება, როდესაც აქ წარმოებას ჯერ ფეხიც არ მოუკიდია. თუმცა ამ შემთხვევაშიაც გადმოსახლებულები ვერას მოიგებდენ—ისეთ ადგილებში (ბოდაიბა და სხ.), საცა რაიმე სამუშაოს შოვნა შეიძლება, პოლიტიკურ გადმოსახლებულებს აკრძალული აქვთ ცხოვრება, გასულ წელს რამდენიმე ათეული ექსპედიციაში იქნა მიღებული, ამ წელს კი, როგორც ხმებია, პოლიტიკურები არ იქნებიან მიღებული. გადმოსახლებულები იმედს მაინც არ კარგავენ და მოუთმენლად ელოდებიან ექსპედიციის ხელმძღვანელ ინჟენერის გამოჩენას, ის კი ჯერ **არსადა** ჩანს.

გაზეთ „თემის“ 121 ნომერში წავიკითხე ნეკროლოგი გარდაცვალებულის ივანე ჯაბადარისა. დავკარგეთ ერთი ძველი მებრძოლი ადამიანი, რომელსაც თვით სამარის კარამდის არ გადაუხვევია ერთხელ არჩეულ გზისათვის. მით უფრო დაუვიწყარი იქნება ,მისი ხსოვნა ჩვენთვის, რომელთაც წილათ გვხვდა იმ ცეცხლის გამოვლა, რომელიც მან პირველმა გამოვლო რამდენსმე ჩვენს თანამემამულებთან ერთათ. ესენი იყვენ, როგორც „თემშიაც“ იყო მოხსენებული, ალ. ციციშვილი, მიხ. ჩიკოიძე, ანთ. გამყრელიძე და გ. ზდანოვიჩი. ის ცნობა, თითქოს 1880 წელს მიიღეს ამათ კატორღა-გადასახლება, მართალი არ არის. ამას წინათ ხელში ჩამივარდა ცნობილი რევოლუციონერის ლ. გ. დეიჩის წიგნი „16 წელი ციმბირში“ საცა, სხვებთა შორის, მოხსენებულნი არიან ჩვენი თანამემამულენიც და ნაჩვენებიცაა: თუ როდის დაიბადენ, როდის დაიჭირეს, გაასამართლეს და გათავის. უფლდენ ციმბირში. ორის „ციციშვილი და ჩიკაიძე) სიკვდილის შესახებაც არის ცნობა. აქვე მომყავს ეს ცნობაც;

1. ჯაბადარი ივანე, დაიბადა 1852 წ. დაიჭირეს მოსკოვში 1875 წ., 50 კაცისაგან შემდგარ პროცესის გასამართლების დროს მიიღო 5 წლის კატორღა, 1883 წ. გათავისუფლდა ციმბირში და მანიფესტით მიეწერა გლეხობას.

2. ციციშვილი ალექსანდრე, დაიბ. 1850 წ., დაიჭირეს მოსკოვში იმავე პროცესის გამო 1875 წ., გაასამართლეს 1877 წ. და მიიღო 10 წლის კატორღა, ციხეს თავი დაახწია 1883 წ., გარდაიცვალა ქ. კირენსკში 1885 წ.

3. ჩიკოიძე. ძიხ. ნიკ. დაიბ. 1850 წ., დაიჭირეს მოსკოვში 1875 წელს და გასამართლებული იქნა 1877 წ., მიიღო სამუდამო გადასახლება; გაიქცა კირენსკიდან, დაიჭირეს მოსკოვში 1882 წ. და კირენსკის საოლქო სასამართლომ მიუსაჯა სამი წლის კატორღა, 1885 წ. გათავისუფლდა იაკუტსკის ოლქში, იქიდან წავიდა 1895 წ., ამავე წელს გარდაიცვალა კურგანში.

4. ზდანოვიჩი გიორგი, დაიბ. 1855 წ., დაიჭირეს მოსკოვში და გაასამართლეს 1877 წ., მიიღო 6 წლის და 8 თვის კატორღა, მანიფესტით შეუმოკლდა ვადა, შემდეგ მიიღო უფლებები და დაბრუნდა კავკასიაში.

რაც შეეხება ანთ. გამყრელიძეს, ამ წიგნში მას შესახებ ცნობებს არ შევხვედრივარ:

კარგა დიდი ხანია ჩვენს ლიტერატურას თვალს ვადევნებ, მარა არსად შევხვედრივარ იმათ შესახებ არც მოგონებას და არც უბრალო ცნობას. თვით განსვენებულის ჯაბადარის მოგონება რუსულ ჟურნალ „ბილოე„-ში დაიბეჭდა. რუ თუ ღირსნი არ იყვენ ზემოხსენებული ჩვენი თანამემამულენი, რომ ძათი ხსოვნა აღვედგინა ჩვენი ხალხის გულში? შეიძლება ივ. ჯაბადარის დაკარგვაძ ახლა ისინიც მოგვაგონოს?.

კატორღელი ს. ვ—ა.

საქართველოს ამბები.

დ. ზუგდიდი. სწავლა-განათლების წყურვილი ზუგდიდელებს საკმაო აქვთ. მაგრამ წინაძძღოლის უქონლობისა გამო ერთი თვალსაჩინო სასწავლებლის დაარსებაც ვერ მოახერხეს. აქ არსებობს სამოქალაქო ექვს-კლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც სხვა სკოლებთან მედარებით საქმე კარგათ მიდიოდა; მხოლოდ ამ წელიწადში მასწავლებლების (ხშირმა) გამოცვლამ ბავშვები ცოტაოდნად დააბნია, ახალი მასწავლებლის ახალმა მეთოდმა ხეირიანი ნაყოფი ვერ გამოიღო.

—ორ-კლასიან სამრევლო სკოლაში სასწავლებელთა საბჭომ რჩეული მასწავლებლები დანიშნა, რომელთაც სწავლის საქმე სასურველ ნიადაგზე დააყენეს. სამწუხაროდ ორი თვის უკან სკოლის შენობა დაიწვა და სწავლა ნაჭირავებ, უხერხულ სახლში სწარმოებდა. ამის შესახებ ჩვენს ინტელიგენციას ხმა უნდა ამოეღო და ახალი შენობის ასაშენებელი საშვალება გამოენახა, მაგრამ იგი გაჩუმებულია.

—ქალების ორ-კლასიან ეპარქიალურ სასწავლებელში ქართული ენის სწავლებას შესაფერი ყურადღება აქვს მიქცეული. ქართულის ნამდვილი ცოდნის შეძენამ ბავშვებს ხელი შეუწყო სხვა საგნების შესწავლაშიაც. წლის განმავლობაში იმართებოდა ხანდისხან წარმოდგენები სამშობლო ენაზე. ამ სკოლით მთელი ზუგდიდის მაზრა სარგებლობდა. ზოგი ერთი ამ სკოლაში სწავლა-დამთავრებული მიჰყავდათ ბოდბის ხევის სემინარიაში, სადაც სახელმწიფო ხარჯზე პირველ კლასში ღებულობდნენ. ასე იოლად მიდიოდა საქმე. მხოლოდ შესაფერი შენობა და ეზო არ ჰქონდა სასწავლებელს, ამიტომ წარსულ წელიწადს მეთვალყურემ წინადადება მისცა ზუგდიდელებს მოხერხებული შენობა აეშენებიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასწავლებელი აქ აღარ იქნებაო. ამ სკოლის გამგემ მ. სამსონ თათარიშვილმა მთელ ზუგდიდის მაზრას მიჰმართა მუდარით: „მოგვეხმარეთ. ავაშენოთ სკოლისთვის შენობა, თორემ დაგვიკეტავენო“, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. ბოლოს წარსულ წლის მიწურულში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის ნება-რთვით გამგემ შეჰკრიფა ზუგდიდის მაზრის მღვდლები და სთხოვა რამე ღონე ეღონათ სკოლის შენობისათვის. სამღვდელოებამ ათასი მანეთით დახმარების პირობა მისცა. ეს ზღვაში წვეთი იყო! მერე მიჰმართა მოქალაქეებსაც, რომელნიც ექვსი ათასს შეჰპირდნენ სიტყვით. ამ გვარად ორივე წოდების კრებამ უნაყოფოდ ჩაიარა. სად იყვნენ ამ დროს ჩვენი სოფლის მასწავლებლები და სხვა ინტელიგენტები? ამისთანა მნიშვნელოვან საქმეს ოდნავაც ყურადღება არ მიაქციეს...

ახლა კი 14 ივნისს მოვიდა ცნობა, რომ მთავრობამ დაჰკეტა ეს ქალების ეპარქიალური სასწავლებელი. ისედაც დარიბნი იყვნენ სასწავლებლებით ზუგდიდელები და ახლა ხომ ესეც გამოეცალათ ხელიდან...

ილარიონ ხუბუტია.

დ. სამტრედია. სამტრედიელებმა დაიარსეს ერთი „კულტურული“ დაწესებულება—კლუბი. იქ ყოველ დამეს იკრიბებიან ქალალდისა, ნარდისა და ბილიარდის სათამაშოდ. ჩვენ კი სულ სხვას მოველოდით: კლუბის დამაარსებელნი გვპირდებოდნენ: „გავმართავთ სალიტერატურო-სამუსიკო სადამოებს, წავიკითხავთ ლექციებს, მოვიწვევთ ჩვენ გამოჩენილ მწერლებსაო“. ეს სიტყვები არა ერთხელ გამიგონია მათგან და ჩვენც დიდი სიხარულით მოველოდით კლუბის გახსნას—გაიხსნა კლუბი მაგრამ რა?..

აგერ ორი თვე გადის მას აქეთ და ჩვენ ერთი ლექციის მეტი არ მოგვისმენია. ერთი სალიტერატურო საღამოც გამართა ვ. ბალახნივაძემ. ეს იყო და ეს.

წელიწადია, რაც აქაურ ორ კლასიან სასწავლებლისთვის სახლი შენდება. შენობისათვის გაწერილია 15,000 მან.

კვირას, 16 ივნისს, აქ მოხდა საზოგადო კრება. გაარჩიეს ბევრი წვრილმანი საკითხები, მათ შორის ორი ძრიელ საყურადღებო. ამ დღეს დაუნიშნეს მამასახლისს ბ-ნ იოს. პაპავას ჯამაგირი 400 მან. წელიწადში. ამის შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა სოფ. ილორში ორ-კლასიან სკოლის დაარსების შესახებ. მცირე ხნის კამათის შემდეგ დაადგინეს, გახსნან ორ-კლასიანი საძინისტრო სასწავლებელი.

აბრეშუმის პარკის შემოტანა უკვე იწყეს საძტრედიის ბაზარზე ახლო მახლო სოფლებიდან. 1 ხარისხის პარკი ფასობს 15 მან., მე 2-ეს კი 13 მან.

ყანებს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს...

მიმავალი.

რედაქტორ-გამომცემელი

ზრიგოლ დიასამიძე.

ხრესილი **აგანო** ხრესილი

ძმ. ჟორჟოლიანების

მიმართეთ პირდაპირ

15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი

მადნეული წყალი

შემოწმებული და გამოკვლეულია, რომ ეს მადნეული წყალი ჰკურნავს სხვა და სხვა სენისაგან, როგორიც არის მაგალითად—**ქარები**, (რევმატიზმი) **კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხ.** წყალი მიიღება თბილიდა ცივი. აბანო მდებარეობს ხრესილის „**სერნი ვოდის**“ სადგურიდან 150 საჟენის მანძილზე. ბარგის გადატანა და მისვლა-მოსვლა ადვილია, რადგან ქუთაისიდან მატარებელი დღეში ორჯერ გადის. აბანოსთან არის სუფთა ბინა და ბუფეტი. **ფასები ყველაფერზე ხელმისაწვდომია.** 4—4

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლალიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადული წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

„ოქროს ვერძი“

ყოველ კვირეული ჟურნალი „ოქროს ვერძი“ გამოდის 17 მაისიდან.

ჟურნალი ემსახურება ლიტერატურას, კრიტიკას და ხელოვნების ყველა დარგებს. თანამშრომლებათ მოწვეული არიან ყველა ჩვენი გამოჩენილი მწერლები.

მიიღება ხელის მოწერა შემდეგ ფასებში:

1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	საზ.	გარეთ	ცალკე №
5 მ.	3 მ.	1-75	50 კ.	ერთი ორაო		10 კ.

მისამართი: Кутаисъ Казаковскій пер д. Яшвили.

რედაქტორ-გამომცემელი

ბ. ჯაიანი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძველიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამ, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები სპეციალისტები.

შინაგანი სნეულებანი.	**დავითაანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა თოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგია, გინეკოლოგია, სანაურო სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ დღე 11½—12—½). **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და ბავშვთა სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვიხა ლ.** (ყოველ დღე) 11—12, **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებანი.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-1½ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტრ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოლეკი გ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
ფსიქ. ავადმყ.	**ბოენინბეცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. **ორეშბოვსკი ნ. ხ.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ხ.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
ყელ. ცხვირ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისტლის გასიჯვა, ათაშა. g. Wasserman, რეაქციისათვის 50 კ., ანწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი ნ მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 ძ. ოპერაციები, კონსულიუმი, ზარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშბამუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავთიანი საფასურით.

ელექტრო-ძიეჭდავი სტამბა ამხ. „სოფოკლეანი“. ადგილთა ბეჭდვა.